

სამეგრელო

№4 (51) 1.04.2016 - 1.05.2016

ფასი 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა

10

რას უამბობენ ფოთელები „სამეგრელოს“ რედაქციას

„ფოთს ყველა პირობა აქვს მანვითარებისათვის, მაგრამ პასუხი სჭირდება“




თამარ ბაბილუაშვილი
ეროვნული რეპორაჟი
დაამყარა

35

გვარის ისტორიები


„შვილმა უნდა იხილოს საღ და რაზედ გარდა მამა“




რა უნდა წარმოგვადგინოს იესო უჩინებელი სიტყვები

30

6



ვიგენ მიქაილაშვილი
კახის ეპოქა

18



ხან ნახიძე
ახლოვდება რეპორაჟს

20



თამაზ კვანტრაჩია
ქართულ-მაგნული ენების შესახებ

მოგვიხილეს ხმა

ISSN 1987-8524

9 771987 852003

სრულიად საქართველოს სწავლება



თამარ ბაბილუაძე ერთგული ტრადიციის დამცემი

საქართველოს პარლამენტის ერთგული ნიშნისთვის დასრულებული 28 მარტს საინტერესო მუსიკალური მატონი გაიმართა, საღამოს გმირი 29 ქლის უმშობლოები და უმცირეს-მანქანი თამარ ბაბილუაძე.

მატონი 28 მარტს დღის 12 საათზე დაიწყო და 29 მარტს დღის 1 საათზე დასრულდა. 1000-ზე მეტი მუსიკალური უმშობლოები შესრულდა, ბავშვები დასრულდა, ასევე უცხოეთი. თამარს მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მხარში ვიდრე მუშაობდა, ბავშვებიც ამხარჯებდნენ, ახლობლებისგანაც ახარჯებდნენ. სამ საათში ერთხელ 15 ქალი იმყოფებოდა, მაგრამ ტრადიციისთვის მრავალი მანქანი დამსწერილი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ასაკგანაღდა მუსიკალური დღი შემატებით აგებულა სამომავლო გეგმებზე საუბარს.

თამარი 1987 ქლის 20 მარტს ე, თუმცა დაინადა. აქვე მიიღო მუსიკალური განათლება. დაჯობა სამი ქლის ასაკიდან დაიწყო, 6 ქლის იყო, ბევრ სულ უმცირესი გაიმართა.

2011 ქლიდან საქმიანობა თბილისში გააგრძელა. მიმართდა ტელევიზიის 2-ის მუსიკალური პროგრამებზე, დღემდე თანამშრომლობს „თინ ქლიდან“. 2013 ქლიდან თამარი „მასტი-მუსიკა“ ფორმის შედგენა.

თამარმა ტრადიციის დამცემი 2014 ქლის გადაწყვიტა, მაგრამ უანხორბლობის მდგომარეობის გაუარესების გამო, მიზნის განხორციელება ვერ შეძლო.

ამჟამად, თამარ ბაბილუაძე უკვე ერთგული ტრადიციის მუსიკალური თუმცა 25 საათი გადახარჯდა დაჯობა.

ქარბაჭობას ვრსობებთან ასაკგანაღდა მუსიკალური დღი შემატით-ღვინთ გზაზე.



გმადლობთ, მეგობარო!

ღუდა ქრისტიანული „სამოგობრო“ ტრადიციისა. აქედან გამომდინარე ვივტი უახტი მსმენია მოგობრო სალხის შესახებ, ბავშვები ერთგული და სტრუქტურა-მთყვარელი აბიან. მაგრამ ტავ საუთობა თავზე გამოგვადო, მთლიანად გადააქაბა. მოგობროში, თითოეულის თქახში ნამდვილი ქართული, ულსური სული ტრიალურს. თქახის მამა დღეს ცოცხალი აღაბ აბის, მაგრამ დაცოვა მოულოდ. შვილები და ღუდა, ბავშვებიც სახლოთვანად აგებულა მის ნაუგალურს. მასწინებელი, ჩემი მოგობრო გივი თითია თავის თქახთან ერთად სითხის და სიყვარულის აბ გვაულებდნენ ღუდაქალაქიდან ჩასულ სტრუქტურს.



ლათო ვახაშვილი და ვახა შიშინაძე სტრუქტურა-მთყვარელი უკავლიანი. მათი ურთიან რუახში

გივის ღუდა, ნათია დიდა გულში გვიტავდა, შვილებით გვრეებდნენ და მოგობრო საზმარბოლთი გვაწინებდა თავს. გაბდა ამისა, სტრუქტურის სამოგობროს ღობსშესანიშნაობებიც დავგათვალაობინებს და მთამოქდობობითა და მოგობრო სტრუქტურა-მასწინებლობით გათგნობულნი დავრმშობობით მათ. გმადლობთ, გივი, ჩემი მოგობრო, გმადლობთ, ნათია დიდა ამ სითხისა და სიყვარულისთვის.

ღათო გუტამილო

ს ა რ ჩ ე ვ ი



7 აპრილი - ხარების
დღესასწაული!..... 2



ბზობა - უფლის დიდებით
შესვლა იერუსალიმში2



დაუსვით კითხვა მოძღვარს..... 3



პასკის კულტურა
საქართველოში..... 5



მიმოზა მიქაია

არდავინყების შარავანდედით
გაბრწყინებული
პიმენ მიქაია..... 6

ეკა პატარაია



გადაეცა თუ არა სინამდვილეში
არაბულ კომპანია „რაკინს“
ფოთში მინები უსასყიდლოდ,
რატომ დააჯარიმა სასამა-
რთლომ ფოთის მერი 800 ლარით
და ვინ არიან „ოფიციალური
მილიონრები“ ფოთში 10



არგონავტების მითის
საიდუმლო 14



„არნ. ჩიქობავა წარსულის
დიდ კაცებსაც ჰგავდა და
მომავლის მოქალაქეც იყო“ 18



თამაზ კვაჭანტირიძე

„ძმა-ენები - მეგრულ, სვანურ,
ჭანური“ 20



ლალი ჯელაძე

„დედა ენა“ — ქართული სულის
სავანე..... 26



პეტრე ქოჩაკიძე- ჭალადიდელი

„ქალდეური ანუ
წინარექართული ენა“ 30



ტიციან ტაბიძე

„მე დავიბადე აპრილის თვეში,
ვაშლების გაშლილ
ყვავილებიდან“ 34



ვისი გორისა ხარ..... 35



სრულიად საქართველოს
ამცნობს 38

მთავარი რედაქტორი —
ნინო რახვიაშვილი

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —

გონა გუტაშვილი

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა

დალი ჯვარციანი

ტექსტი ააწყო

თამარ გოზინაძე

კორექტორი

ქეთევან ნახნაძე

მისამართი: თბილისი, ლესელიძის

ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10

ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

მვირფასო მკითხველო!
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული
მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს
ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს,
მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის
შემკვეთს ეკისრება.

მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27,
მე-2 სართული, ოთახი №3, ტელ.: 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

**ჟინნაღვი მასალების
მართავსება ფასიანია!**

ვნების კვირა

7 აპრილი - ხარების დღესასწაული!

„ხარება“ აღწერილია ერთადერთი მახარებლის – ლუკას მიერ. მართალი ელისაბედისაგან იოანე ნინამორბედის ჩასახვის მეექვსე თვეზე, გაბრიელ მთავარანგელოზი მივლინებულ იქნა ნაზარეთს, ქალწულ მარიამთან. ნარუდგა ანგელოზი ქალწულს და უთხრა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“. მარიამი შეაძრწუნა მისმა სიტყვებმა და გაიფიქრა: „ვითარ-მე არს მოკითხვაჲ ესე?“ - რას უნდა ნიშნავდეს ეს მოკითხვაო? ანგელოზმა უთხრა: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა. და აჰა, ესერა შენ მუცლად-ილო და ჰშვა ძე და უწოდი სახელი მისი იესუ“.

რიგ ღვთისმეტყველთა თვალსაზრისით, მთავარანგელოზის სიტყვები: „გიხაროდენ, მიმადლებულო“ იყო „მადლის“ პირველი უწყება კაცობრიობისათვის, ცოდვით დაცემის შემდეგ.

საეკლესიო გადმოცემა გვამცნობს, რომ მთავარანგელოზის გამოჩენის ჟამს წმიდა მარიამი კითხულობდა ისაიას წიგნს, სადაც აღბეჭდილია წინასწარმეტყველური სიტყვები: „აჰა, ქალწულმან მუცლად-ილოს და შვეს ძე“ (7,14). ამიტომ, ხარების ხატებზე ზოგჯერ ღვთისმშობელი გაშლილი წიგნით

არის გამოსახული.

ხარების თარიღი პირდაპირ კავშირშია მაცხოვრის შობის თარიღთან – დღიდან ჩასახვისა (7 აპრილიდან) შობამდე (7 იანვარს) ზუსტად 9 თვის შუალედი.

ხარება ოდითგან მიიჩნეოდა დიდ უქმედ. ხალხში გავრცელებული იყო გამოთქმა: „ხარებას ჩიტიც კი არ აგებსო ბუდეს“ – ანუ, ამ დღეს არ შეიძლებაო მუშაობა; იყო ასეთი მინიშნებაც: „როგორც გაატარებ ამ დღეს, ისეთი იქნებაო შენთვის მთელი წელიწადი“!



გზოგა – უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში

იესო ქრისტე სახედარზე ამხედრებული შედის იერუსალიმში, სადაც მას ეგებება ხალხი, რომელიც პალმის ტოტებს უფენს წინ შექაჩილებით: „ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა, მეუფე ისრაჲლისაჲ!“ (იოანე, 12,13).



თითქოსდა ქრისტიანობა დღესასწაულობს – ქრისტეს ეთაყვანება წმინდა ქალაქი, მთელი ხალხი აღტაცებით ხვდება მას. მაგრამ სულ მალე გახდება ცხადი, რომ ვისაც ელოდნენ, ის თურმე არ სჭირდებათ – ელოდნენ პოლიტიკურ ბელადს, ვინც მათ გაათავისუფლებდა მინიერი მტრისგან - ოკუპანტი რომაელებისაგან და არა გაცილებით საშიში მტრისგან – ეშმაკისაგან. ამიტომ, ბრბო, რომელიც დღეს იძახის: „ოსანა ძესა დავითისას“, ხვალ დაიძახებს: „ჯვარს აცუ ეგე“!

იერუსალიმში შესვლისას, იესო, პირველ ყოვლისა, ტაძრიდან გამოყრის ყველა მყიდველსა და გამყიდველს, ააყირავებს მეკერმეთა ტაბლებს და მტრედებით მოვაჭრეთა მერხებს. თანაც მკაცრად განმარტავს საკუთარი საქციელის მიზეზს: „ჩემი სახლი სალოცავ სახლად იწოდება; თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცივით იგი“ (მათე. 21:13). ამის შემდეგ

ვნების კვირა

იესო კურნავს უსინათლოებსა და ხეიბრებს.

ბზობის დღესასწაული სიმბოლოა, ერთი მხრივ, იესო ქრისტეს მისიის აღიარების, მეორე მხრივ – წინარე სახეა ადამიანის ძის სამოთხეში შესვლისა. ის, რომ მაცხოვარი შედის ქალაქში ვირზე ამხედრებული, გულისხმობს მშვიდობის, და არა ომის, მოსურნეობას (სიმბოლურად ვირზე ამხედრება – მშვიდობის ნიშანია, ცხენზე – ომისა). მწუხრის ლოცვაზე დამსწრე მორწმუნენი

ბზებით, ყვავილებით და ანთებული სანთლებით ხელში, მიესალმებიან უხილავად იერუსალიმს მომავალ მაცხოვარს, როგორც ჯოჯოხეთისა და სიკვდილის დამთრგუნველს. ცისკრის ლოცვისას ბზის ტოტები, რომლებიც ხელში უჭირავთ მორწმუნეებს, იპკურებიან ნაკურთხი წყლით.

მართლმადიდებელი ქრისტიანები ნაკურთხ ბზის ტოტებს მთელი წელი ინახავენ და მათ ხატების მოსართავადაც იყენებენ.

ლაზარეს შაბათი

ბზობის დღესასწაულს წინ უძღვის „ლაზარეს შაბათი“, როდესაც ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს მიერ თავისი მეგობრის, ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს აღდგინებას (იოანე 11. 1-45).

ეს არის უდიდესი სასწაული, რომელიც ქმნა უფალმა თავისი ჯვარცმის წინ! ლაზარეს შაბათი - ეს არის კიდევ ერთი საოცარი გამოვლინება იმისა, თუ რამდენად დიდია და მონყალე უფალი! როგორც პატრიარქი ბრძანებს ერთ თავის ქადაგებაში:

„...ლაზარე იყო „მეგობარი ღვთისა“. უყვარდა უფალს ლაზარე და მისი დები. და როცა უთხრეს,

რომ ლაზარე მოკვდა, მაცხოვარი ატირდა. ხომ იცოდა იესომ, რომ აღადგენდა ლაზარეს, მაშ, რატომღა ტიროდა იგი? ტიროდა იმიტომ, რომ მოახლოებული იყო ჟამი მისი ვნებისა; ტიროდა იმიტომ, რომ ზოგი ცხონდებოდა და ზოგი - ვერა. ტიროდა იმიტომ, რომ ჭვრეტდა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ მთელი იერუსალიმი გამოვიდოდა მის შესახვედრად და სულ 3-4 დღის შემდეგ კი იგივე ხალხი იყვირებდა: „ჯვარს აცუ, ჯვარს აცუ ეგე“. ასეთია დაცემული ადამიანის ბუნება. უფალი ტიროდა და ტირის კაცობრიობის ცხონებისათვის“.

დიდი ხუთშაბათი

დიდ ხუთშაბათს ქრისტემ უკანასკნელი სერობა გაუმართა 12 მოციქულს. ამ მოვლენის სახარებისეული ინტერპრეტაციით: „მოდვარმა ჯერ მათ სათითაოდ დაბანა ფეხი, შემდეგ თქვა: ერთი თქვენგანი გამცემსო. ყველა შეძრწუნდა და იკითხა: „ნუთუ მე ვარო“. „სწორედ შენ“,

უთხრა ქრისტემ იუდას და ჩასჩურჩულა: „რომელ გვეულვების საქმედ, ჰყავ ადრე“. იუდა ადგა, მღვდელმთავრებთან გაეშურა, ქრისტემ კი პური გაუტეხა მოციქულებს, მიანოდა და უთხრა: „ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის გატეხილი“, შემდეგ ღვინო დაუსხა: „ესე არს სისხლი ჩემი, თქვენთვის და მრავალთათვის დანთხეული“.



რატომ ვღებავთ საადგომოდ კვირცხს ნითლად?

წმიდა გადმოცემის მიხედვით, ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მონაფეხები სხვადასხვა ადგილებში გააგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. მაცხოვრის

მიმდევარი და მისი ერთგული მარიამ მაგდალინელი საქადაგებლად რომში ჩავიდა. ის ქვეყნის მმართველს იმპერატორ ტიბერიუსს წარუდგინეს, რომელსაც ძღვნად წითელი კვერცხი მიართვა და ახარა: – ქრისტე აღდგა!. “ამის დაჯერება ისევე ძნელია, როგორც ამ კვერცხის განითლება” –

ჩაილიმა იმპერატორმა და სიტყვა არც ჰქონდა დასრულებული, რომ კვერცხი ჯერ გავარდისფრდა, ბოლოს კი განითლდა.

გაოცებულ ტიბერიუსს მარიამმა მოუთხრო იესო ქრისტეს ცხოვრებაზე, ჯვარცმასა და მკვდრეთით აღდგომაზე. კვერცხი ზოგადად სიცოცხლის სიმბოლოა, ნითლად შეღებვა კი იმისა, რომ ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსყიდულ კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე მიენიჭა. ეს მოვლენა გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისთვის ნითელი კვერცხით მიელოცათ. კვერცხის შეღებვის ტრადიცია ნითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება.

ტრადიციის თანახმად, სააღდგომო კვერცხები ნითლად, ნითელ პარასკევს მზის ჩასვლამდე იღებება. კვერცხის შესაღებად ძირითადად ბუნებრივ საღებავს, ენდროს იყენებენ და ზოგჯერ ხახვის ფურცლებსაც უმატებენ.

რა უნდა ვიცოდეთ საფლავზე გასვლისას.

„ცუდი ტრადიცია იყო, რომ აღდგომის დღესასწაულს ადამიანები მიცვალებულებს უკავშირებდნენ, მაგრამ ჩვენი პატრიარქის დიდი ძალისხმევითა და შემწეობით, დასაბამი დაედო აღდგომის სწორად აღნიშვნას საქართველოში, რომ ამ დღეს არ გავიდეთ საფლავზე“, - ამბობს სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი **გიორგი სანამაშვილი**, რომელსაც კონკრეტულად ამ საკითხზე ვესაუბრეთ, თუ ქრისტეს აღდგომის შემდეგ, როდის უნდა გავიდეთ მიცვალებულთა საფლავებზე.

- აღდგომა არა მიცვალებულების, არამედ, ცოცხლების დღესასწაულია, ანუ სიკვდილი დაითრგუნა და ქრისტე აღსდგა. მაგრამ ჩვენში არაერთი ეკლესია სასაფლაოსთან მდებარეობს და აღდგომას ქრისტიანები ერთმანეთს შეძახილებით, — „ქრისტე აღსდგა!“ — ეგებებიან. შემდგომ ტაძრის გარშემო შემოტარება ხდება და იმ დროს სიმბოლურად საფლავებზეც დადებენ ხოლმე კვერცხს, შეძახილებით: ქრისტე აღსდგა! ანუ იმის შესახსენებლად, რომ აღსდგება თითოეული ადამიანი. ეს ტრადიცია არ არის ცუდი და არც არაფერი შეზღუდვას იმაში, რომ საფლავთან არ მიხვიდე, მაგრამ უპირველესად უნდა გააცნობიერო, რომ რადგანაც ქრისტე აღსდგა - ეს სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღესასწაულია და არა გლოვისა და მწუხარების.

- აღრა ეშვებოდეთ... გგონი, ეს დღესაც ეშვებათ...

- ძირითადად აღარ ეშვებათ, მაგრამ მათ, ვისაც ეს ჯერ კიდევ გაცნობიერებული არა აქვს, საჭიროა შეხსენება, რომ აღსდგომა მიცვალებულების დღე არ არის და ამ პერიოდში საფლავზე გლოვა არ შეიძლება. თუ მაინცდამაინც მივლენ, საფლავს უნდა შეუძახონ, რომ ქრისტე აღდგა! რითაც დიდი სიხარული შემოდის. მოკლედ, ამ ყველაფრისთვის უნმინდესმა დაანესა ასეთი დღესასწაული კალენდარში, აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი, რომელსაც საფლავთა კურთხევის დღე, დიდუბობა ჰქვია. შემდგომ კი კვირაცხოვლობის სამშაბათი, ანუ თომას კვირის შემდეგ არის მიცვალებულთა მოსახსენიებელი დღე.

- ნაღინაღმი მიცვალებულთა რამდენი მოსახსენიებელი დღე არსებობს?

- შვიდი და მათგან კვირაცხოვლის სამშაბათია ერთ-ერთი, როცა ხდება მიცვალებულთა პანაშვიდების გადახდა.

- ისე, საფლავზე გასვლის რიტუალიც საკამოდ დამახინჯებულია. აღდგომის დღესასწაულზე იქ შამფურებითა და 20 ლიტრიანი ზოცითაც მინახავს ადამიანები მისულაბი...

- ეს სირცხვილია. საერთოდ, არა მარტო საფლავებზე ღრეობა, არამედ ღრეობა ოჯახებშიც. ეკლესია გამიჯნულია ამ ქმედებისგან, მიუხედავად იმისა, რომ ტრაპეზი, ქართული სუფრა ღმერთისგან ნაკურთხია. ეს ყველაფერი ძალიან მოზომილად უნდა მოხდეს. თან, ერთბაშად ადამიანი არ შეიძლება ასე ხარბად შეექცეოდეს, რაც ხშირად ქართველებს გვახასიათებს. ყანწებს ვცლით, ლიტრობით ღვინოს ვსვამთ. თუ თითოეული ამას დააკვირდება, მიხვდება, რომ ამით უპირველესად მის ჯანმრთელობას ვნებს, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ. ზოგადად, სამწუხაროა, როცა ქრისტიანი ადამიანი მოუნესრიგებელია, არ აქვს მაღალი შეგნება. არ შეიძლება კაცი ქრისტიანს უნოდებდეს საკუთარ თავს და აბინძურებდეს საფლავებს იქ მიტანილი საკვების ნარჩენებით. ზოგადად, არ უვლიდეს მიცვალებულთა საფლავებს და მინდობილი იყოს მხოლოდ იქ მომსახურე პერსონალზე. ეს ყველაფერი ცოდვას და ადამიანის უკიდურესი გაუკუღმართება. ქრისტე ასეთი არ იყო და ამას არ მოუნოდებდა სხვებს. ჰიგიენა და წესრიგი, სისუფთავის დაცვა, სასაფლაოს მოვლა რომ აუცილებელი რამ არის, ეს დაუნერვლი კანონია.

საადგილოდ პასკის კულტურა საქართველოში

პასკა, სავარაუდოდ, არის ართოსის სახეცვლილება, რომელიც ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წყაროებში ნახსენებია როგორც ქადა. დიდ ხუთშაბათს ტრაპეზზე იესომ თავის მოციქულებს დააღვინა ღვინო და მისცა პური, სისხლი და ხორცი მისი. მას შემდეგ რაც ქრისტიანობა გავრცელდა, მისი მოციქულები, იმ დღის გასახსენებლად პურს ატყობდნენ, რომელზეც ღვინოს გამოსახვა იქნებოდა და დღემდე სუფრაზე, იმის მოსაგონად, რომ უფალმა იესომ დაუბარა მათ ამ ზიარების საიდუმლოს შესახებ.

სავარაუდოდ ეს პური მრევლში ქაღის სახით გადმოვიდა. ეს ქადა უნდა იყოს პასკა, რომელსაც ეს ფორმა და მოყვანილობა არ ჰქონდა მაშინ, მაგრამ იყო რაღაც მსგავსი.

თვითონ პასკის ფორმა, გოგლითის მითის სიმბოლოა. აფუძვლილი ცომი იმიტომაცა, რომ ქრისტიან ზიარების საიდუმლოს დანახვისას, სწორედ აფუძვლილი პური ჭამა.

როგორ მოვაწადოთ პასკა

მასალა

- 10 კვერცხი
- 1.200 შაქარი
- 3 კგ. ფქვილი
- მშრალი საფუარი დიდი შეკვრის ნახევარზე ცოტა მეტი
- 1 ლიტრა რძე
- 250 გრამი მარგარინი
- 250 გრამი კარაქი
- 1 ჭიქა ზეთი
- 300 გრამი შავი ქიშმიში, ცუკატები სურვილის მიხედვით



ნახევარ ლიტრა თბილ რძეში გახსენით საფუარი 6 სუფრის კოვზი, 1 ჩაის კოვზი შაქარი დაუმატეთ, რომ კარგად აფუძვდეს

მეორე ნახევარ ლიტრ თბილ რძეში გახსენით ცხიმი, მარგარინი, კარაქი, ნახევარი ჭიქა ზეთი.

ცალკე 10 კვერცხის ცილა კარგად ამოიყვანეთ (ოთახის ტემპერატურის კვერცხის ცილა უფრო კარგად ამოდის), დაუმატეთ 10 სუფრის კოვზი შაქარი, მნიკვი მარილი და კარგად აურიეთ.

ცალკე 10 კვერცხის გულისგან და დარჩენილი შაქრისგან ვაკეთებთ გოგლიმოგლს, კარგად ათქვიფეთ გათეთრებამდე.

გოგლიმოგლს დაუმატეთ გამზადებული ბეზე და კარგად აურიეთ.

ცალკე დიდ თასზე დავყრით 3 კგ ფქვილს დავასხამთ საფუარიან და ცხიმთან ზეთს, კარგად აურიეთ და შეაზილეთ კვერციანი მასა, კარგად აურიეთ, დაუმატეთ დარჩენილი ნახევარი ჭიქა ზეთი და კარგად მოზილეთ ცომი.

ცომს ამოსასვლელად სჭირდება 6 საათი.

ღამით მოზილეთ შეფუთვით თბილად და დილით უკვე მზად არის, ღამე ჩაზელვა არ სჭირდება.

დილით ამოსული ცომი ჩაზილეთ კარგად, დაუმატეთ ქიშმიში, თქვენი სურვილის მიხედვით,

თუ გნებავთ ცუკატები, 1 ცალი ლიმონის ცედრა, ვანილი, ნახევარ-ნახევარი ჩაის კოვზი მუსკატის კაკალი, ილი, მნიკვი დარიჩინი და მიხაკი, ვისაც არ გიყვართ დარიჩინის გემო არ დაუმატოთ.

აიღებთ ფორმებს, ჩაუფინეთ ქაღალდი, წაუსვით ცხიმი.

ცომს ფორმაში ვდებთ ნახევრამდე. ცხობისას 2-ჯერ იზრდება.

ფორმაში ცომს ვაჩერებთ 6 საათი. შემდეგ შედგით გახურებულ ლუმელში 150 გრადუსზე.

1 საათის შემდეგ გამოაღეთ ლუმელი და ხის ჩხირით გასინჯეთ. როცა გამოცხვება შეგრილდეს და შემდეგ ამოიღეთ ფორმიდან.

თქვენი სურვილით შეგიძლიათ მორთოთ, მე მინანქარს ვასხამ.

ყველაზე მთავარია, ცომის მოზელის დროს უნდა იყოს კარგ განწყობაზე და მთელი სიყვარულით მოზილოთ ცომი, უნდა მოეფეროთ ცომს.

წარმატებებს გისურვებთ!

ამ რეცეპტით პასკა გამოდის მძიმე და ნოტიო, როგორც უნდა იყოს ნამდვილი პასკა, არაფუმფულა.

2 ულუფას ერთად ნუ მოამზადებთ.

არ დავინწყების შარავანდელით გაბრწყინებული პიმენ მიქაია

ტრიალებს ჩარხი, ბრუნავს ქვეყანა, დრო კი მიჰქრის შეუჩერებლად. ფოთლებივით იცვლებიან სახეები, მინა და ადამიანები. ვნებები კი ნაკლებად ემორჩილებიან დროის ცვალებადობას.

დრომ წაიღო ყველაფერი და მოგონებად აქცია, დრო — დაუნდობელი, უღმობელი და მარადიული! დიახ! მარადიული მათთვის, ვისთვისაც ეს წუთისოფელი მარტო სიკვდილ-სიცოცხლით კი არა, სახელ-სიკეთითაც იზომება. „ყოველი ადამიანი თავის საქმიანობით, ადამიანებთან ურთიერთობით ხატავს თავის პორტრეტს, რომელსაც საზოგადოება მკაცრ მსაჯულად ევლინება...“

პიმენ მიქაია სწორედ ის კაცი გახლავთ, მისხალ-მისხალ რომ ქმნიდა თავის ლამაზ ბიოგრაფიას.

სიყვარულით მოსილი ეს გვარ-სახელი ყველასთვის მტკივნეულ მოგონებად დარჩა-ერუდირებული და კვალიფიცირებული ექიმი არა მარტო ჯანმრთელობის დარგის მუშაკებს შორის, არამედ რაიონის მთელ აქტივში მონაწილეობდა და პატივისცემით იყო მოსილი“...

ნიგნიდან „არ დავინწყება“ — პეტრე კირთაძე, დემურ კილასონია“.

პიმენი- ერასტი მიქაიასა და ნატალია ფოჩხუას კეთილშობილ ოჯახში გაიზარდა. სიტბოსა და სიყვარულს მიჩვეულ ბავშვს უცბად ცხოვრების ნირი შეეცვალა, გარდაიცვალა ოჯახის დედა ქალბატონი ნატალია. ერასტი ფრიად დამწუხრებული იყო. უსაზღვროდ უყვარდა თავის მეუღლე, ამიტომ მისი ადგილი ვერავისთვის გაიმეტა, იმასაც ფიქრობდა, შვილები

დამეჩაგრებიანო, ამიტომ ოჯახის მთლიანი ტვირთი თავის თავზე აიღო და ქალ-ვაჟს პატიოსნად ზრდიდა.

ერასტის კეთილ გულსა და ზნე კეთილობას მისი საქველმოქმედო ფაქტიც ადასტურებს. მან ილია ჭავჭავაძესთან და სერგი დანელიასთან ერთად საქართველოში ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნაში მიიღო მონაწილეობა. გარდა ამისა, მან საფრანგეთში ლევილის მიწების შესასყიდად ვერცხლის ფულით სავსე ქოთანს გაიღო.

ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე პიმენ მიქაია დაიბადა 1907 წლის 28 აგვისტოს, მარიამობას, როგორც თავად უყვარდა თქმა „მარაშონა“-ს მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩაში. აქვე დაამთავრა დაწყებითი სკოლა, შემდეგ კი მარტვილის ცხრანლელი სასწავლებელი. დედა რვა წლის ასაკში გარდაეცვალა. 1929 წელს პიმენმა სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე (შემდგომში იგი სამედიცინო ინსტიტუტად გამოეყო უნივერსიტეტს). უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დაინიშნა მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოს საუბნო საავადმყოფოს გამგედ, მოგვიანებით, იგი დაანიშნაურეს მარტვილის რაიონის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგის მოადგილედ, ბოლოს კი მშობლიური სოფლის საექიმო უბნის უფროსად გამოიყვანეს, რათა მარტოხელა მოხუცი მამა მოუვლელად არ



დარჩენილიყო.

1937 წელს დაოჯახდა — ლოლა სიგუაზე დაქორწინდა. 6 შვილი აღუზარდეს სამშობლოს, მაგრამ მანამდე იყო დიდი სამამულო ომი...

1943 წელს მოხალისედ ჩაენერა და ფრონტს მიაშურა. ჯერ მოსკოვში გაგზავნეს. საიდანაც უკრაინის მესამე ფრონტის 46-ე არმიის ჰოსპიტალის მთავარ ექიმად დაინიშნა. ერთხელ, როცა დაჭრილების დასახმარებლად მიიჩქაროდა, სამ სანიტართან ერთად დაბომბვაში მოჰყვა, ნახევრადდაღრეული წისქვილკომბინატის შენობას შეაფარეს თავი, მაგრამ მაინც დაიჭრა, არმიის მედნაწილში მხოლოდ მეორე დღეს მიიყვანეს, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო, ქართველი ექიმები ირაკლი ძაგნიძე, ილია ბერაძე, ზინაიდა მგელაძე, გრიშა ბარამია, გიორგი მოსეშვილი მკურნალობდნენ...

მალე ფეხზე წამოაყენეს მრავალთა მსგავსად, ხიფათს არ ერიდებოდა, კიდევ დაიჭრა, მაგრამ მაინც მწყობრში დარჩა, რაც კიდევ საბჭოთა სარდლობამ სათანადო ჯილდოებით აღნიშნა.

1944 წელს, უკრაინის განთავისუფლების შემდეგ ბესარაბიაში, გადაისროლეს, შემდეგ რუმინეთსა და ბულგარეთში.

1945 წელს მუხურჩელმა ახალგაზრდა ექიმმა ბუკლგარეთში ქ. სოფიაში არმიის სამხედრო ჰოსპიტალში აიმაღლა კვალიფიკაცია და მიენიჭა სამედიცინო სამსახურის კაპიტნის წოდება. საინტერესო ისაა, რომ ერთხელ გერმანელების წინააღმდეგ ხელჩართულ ბრძოლაშიც კი მოუწია მონაწილეობა. მრავალ ბრძოლებში გამონრთობილი საბჭოთა მებრძოლები გაცელებული უცქერდნენ თითქოს მოწოდებით „არამებრძოლ“ კაცს, რომელიც მტრის ჯარისკაცებს შორის ლომივით ტრიალებდა.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ კვლავ მშობლიურ სოფელ მუხურჩას მიაშურა და საექიმო ამბულატორია გახსნა, სადაც მალე 25-საწლიანი ლამაზი საავადმყოფო ააშენა. ეს მისი დიდი ხნის ოცნება და მიზანი გახლდათ.

მიუხედავად უკანასკნელ ჟამს ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ყოფაში მომხდარი კატაკლიზმების



და ტექნიკური ძვრებისა, ეს საავადმყოფო დღესაც პიმენ მიქაიას სახელს ატარებს.

დიდი სამამულო ომის დროიდან მოყოლებული, სიცოცხლის ბოლომდე, უამრავი ჯილდო ჰქონდა მიღებული: ორდენი და მედალი საბრძოლო დამსახურებებისათვის, ფრიადოსანი სანიტარის მედალი, კვალიფიციური ექიმის უმაღლესი ხარისხის მედალი, გერმანიაზე გამარჯვების (1941-1945) მედალი, ომის დამთავრებიდან 20 და 30 წლის თარიღების აღმნიშვნელი

მედლები, 50-ე საიუბილეო წლის მედლები და ორდენები, საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდლობისაგან 8-ჯერ ჰქონდა მიღებული მადლობა, დაჯილდოვდა ათეულობით დიპლომითა და სიგელით. სამოქალაქო სამსახურის პერიოდში მთავრობისაგან მიღებული აქვს წითელი ჯვრის მე-100 წლისთავთან დაკავშირებული მედალი და დიპლომი, ათი სამკერდე ნიშანი სოციალისტურ შეჯიბრებებში გამარჯვებისათვის და ა.შ. ყველა ეს ჯილდო იმის მიმანიშნებელია, თუ როგორი ეფექტიანობით და თავდადებით ემსახურებოდა სამშობლოს ექიმი პიმენ მიქაია.

მართლაც უნკალური პიროვნება 1986 წლის 1 დეკემბერს 79 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ეს ის ასაკია, როცა ცხოვრების საწყაო მეტნაკლებად აღვსებულია, პიმენ მიქაიამ თავის კაცობით, ზნეობით, პროფესიონალიზმით, კეთილშობილებით, თავის პიროვნებას სიცოცხლეშივე ძეგლი აუგო. მის ხსოვნას და ნათელ დიდებას სათუთად ინახავს მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი: — „მიქაია პიმენი — სამამულო ომის ვეტერანი, დამსახურებული ექიმი, საოცრად გულთბილი ექიმი და ადამიანი, დაკრძალულია ვედიდკარში“ — ეს ის ოქროს ასობით ამოტვიფრული ფრაზებია, რომელსაც მშობლიური კუთხე მარტვილი დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ინახავს. პიმენ მიქაიას თავდადებაზე საუბრობს წიგნი „ექიმები ჯარისკაცის ფარაჯაში“ და ასევე წიგნი ლირსეულ ადამიანზე „პიმენ ექიმი“, რომელიც გამოსცა ბატონმა ნარო კოლხელმა (ნარიმან



იაშალაშვილმა). მწერალმა ზურაბ ქობალიამ მადლობა გადაუხადა ნარო კოლხელს რომ უკვდავყო ამ მართლაც დიდებული ექიმისა და პიროვნების სახელი.

ბატონი პიმენის ღვაწლზე საუბრობს მწერალი ილია რურუა: „შორეული ბავშვობიდან აქამდე მომყვება არაერთხელ ნანახი სურათი—სოფლის გზებსა და შუკებში ზამთარ-ზაფხულ დარსა თუ ავდარში ცხენზე ამხედრებული, უფრო ხშირად კი ფეხით მიმავალი ახალგაზრდა ექიმი, რომელსაც ყველა მოწინებით ესალმებოდა. თავიდანვე კარგი სახელი ჰქონდა, თავზე შუალამითაც რომ დადგომოდნენ, გაჭირვებულ პატრონს ავადმყოფთან გაყოლას არ დაზარდებოდა, უბრალოდ, არც კი ნაიბუზღუნებდა. დღე და ღამე თითქმის გასწორებული ჰქონდა, მაგრამ ბედს არ ემდუროდა. ახარებდა იმის შეგნება, რომ სოფელსა და ადამიანებს ასე სჭირდებოდათ, რომ სულ უფრო იმდიდრებდა პრაქტიკულ ცოდნას და პროფესიულ გამოცდილებას. ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტით წამლის შოვნა მაშინდელ სასოფლო აფთიაქებში საერთოდ სჭირდა, მაგრამ თუ მაინც მოახერხებდნენ, სჯეროდათ: პიმენ ექიმის წამალი უტყუვრად გაჭრიდა, ავადმყოფს შვებასა და ხსნას მისცემდა“.

ოჯახი

ღირსეულ მამას და საყვარელ ადამიანს ეფერება მთელი ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, სიძეები, უფროსი ქალიშვილი იზოლდა ღრმად განათლებული ქალბატონი გახლავთ. ვიოლეტა ცნობილი ენტომოლოგი იყო, გარდაიცვალა 2014 წლის 19 იანვარს. ქალბატონი პილოსი ექიმი-ვეტერინარი იყო. როგორც თავად ხსნიან მესამე შვილის, პილოსის სახელი მშობლების (პიმენი და ლოლა) აბრევიატურაა. პილოსი 2009 წლის 2 მარტს გარდაიცვალა. ქალბატონი მიმოზა კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის ექიმი-ბაქტერიოლოგი და მეცნიერ-თანამშრომელია. უმცროსი ქალიშვილი რუსუდანი საქონელმცოდნეა.

ასეთი დიდი სახელოვანი ოჯახის მოუშუშებელი იარა ერთადერთი ძის, პიმენისა და ლოლას ვაჟის, 49 წლის ექიმი, ვეტერინარის ერასტი მიქაიას გარდაცვალებაა.

მის ნათელ ხსოვნას დღემდე ეფერებიან მეუღლე ნანი ლაბარტყავა და შვილები: ლოლა და ნატო.


დიდი ოჯახი დღემდე ყველასთვის თითოთ საჩვენებელია. მიქაიების გენური კოდი პიმენის შთამომავალში უფრო და უფრო ღვივდება. ნაპერწკალი ჯერ კიდევ უტა მიქაიამ აანთო,



რომელიც შემდგომში ერასტიმ გააღვივა და პიმენმა კი გაჩახჩახებულ კოცონად აქცია. სულ ახლახანს ოჯახს კიდევ ერთი წევრი შეემატა, გვჯერა, რომ დიდი წინაპრების ნაკვალევზე გაბრიელ ჭანკვეტაძე გამართულად ივლის და თაობებს მისი ოჯახის სახელს არასდროს დაავინწყებს.

ღვთიური სიყვარული

პატარა გოგონა, არ იქნებოდა 15 წლის, სიყვარულმა მოაჯადოვა. გოგონას ლოლა ერქვა. მამამისი ნიკოლოზ სიგუა და დედა ფოტი გაგუასიგუა რაიონში ცნობილი ადამიანები გახლდათ. გოგონა სოხუმში სწავლობდა. მავანი იფიქრებდა, ანგელოზი გოგო სოფელში არ გათხოვდებოდა, მაგრამ ლოლა ისეთი კარგი ბუნების ადამიანი აღმოჩნდა, რომ საყვარელ მეუღლეს ყველანაირად გვერდით დაუდგა. ექვსი შვილი, აქედან ხუთი ქალი და ერთი ვაჟი გაუზარდა.



თავდაპირველად, როგორც კეკლუც გოგონებს სჩვევიათ, ლოლამ, ცოტა არ იყოს, გაანვალა მომავალი მეუღლე. პიმენი ვრცელ წერილებს წერდა სატრფოს, ღვთიურ სიყვარულს ეფიცებოდა, ეკლესიაში ჯვარი დავინეროთო. გადაჭრით სთხოვა, ან ხო ეთქვა და ან არა! ისიც არც ხოს ეუბნებოდა და არც არას, ეს კი პიმენს მოთმინებას უკარგავდა და ალიზიანებდა... ლექსებს უწერდა, სიმღერებსაც... ბოლოს, როგორც იტყვიან, დუმილი თანხმობის ნიშანიაო, ძველი წესით, მშობლების გადანყვეტილებით, ლამაზი ოჯახი შეიქმნა.


ჩამი პაპაშა

პაპაშა — ასე ვეძახდით და დღესაც ასე ვლოცულობთ მასზე, მამა ჩვენთვის ყველაფერს ნიშნავდა. მის მიერ განვლილი ნათელი გზა დღესაც

ჩვენი გზამკვლევი.

დიდა მამის ღვაწლი და დამსახურება ჩვენი კუთხის ხალხისა და ქვეყნის წინაშე, ჯარისკაცის ფარჯა მოსილი პიმენი ექიმი არაერთხელ გადაურჩა სიკვდილს და თავის გამბედაობით უამრავი ადამიანის სიცოცხლე იხსნა.

მამამ უდიდესი საქმე გაუკეთა სოფელს, მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1946 წელს ვედიდკარში საექიმო ამბოლატურია გახსნა, რომლის გამგედაც თვითონ დაინიშნა. ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სოფლის მოსახლეობისათვის მკურნალობა ხელმისაწვდომი ყოფილიყო. მამა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას ასაქმებდა. 1951 წელს ვედიდკარის ამბულატორია თავის საშტატო ერთეულთან ერთად მუხურჩაში გადავიდა, თუმცა მიწის ნაკვეთის მოძიება გაჭირდა, რომ ამბულატორია აშენებულიყო, ამიტომ 2 წელი კერძო ოჯახში მუშაობდნენ. მამას უშუალო ხელმძღვანელობით და სოფლის თანადგომით მალე აშენდა ორსართულიანი კაპიტალური შენობა. ამრიგად, 1955 წელს გახსნა მუხურჩის საუბნო საავადმყოფო, ამ ფაქტით სოფელი აღფრთოვანებული იყო. ცოტა ხნის შემდეგ მამამ ზემდგომ ორგანოებში, გაფართობის საკითხი დააყენა. შედეგმაც არ დააყოვნა და 1959 წელს 25 სანოლიან საავადმყოფოდ გადაკეთდა. რომლის მთავარი ექიმი იყო სიცოცხლის ბოლომდე.



ბოლო ფოტო პიმენის ცხოვრებიდან

ამავდროულად მამამ ცალკე ერთსართულიანი პოლიკლინიკის მშენებლობა დაიწყო.

1971 წელს აღნიშნული საავადმყოფო გააუქმეს და საექიმო ამბულატორიად გადააკეთეს, რაც მამამ ძალიან განიცადა, ამას დაემატა ისიც, რომ მამას აშენებული პოლიკლინიკა-ლაბორატორიის შენობაში იმ ჟამად მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექცია განათავსეს...

ამით მამას ფარ-ხმალი არ დაუყრია და ახლა ბაგა-ბაღის გახსნაზე დაიწყო ფიქრი... და გახსნა კიდეც.

ვინ მოთვლის რამდენი კეთილი საქმე აქვს ნაკეთები ჩვენს პაპაშას, მამიკოს, რომელსაც დედა ყოველთვის მხარში ედგა და შინ დაბრუნებულ, დაღლილ მეუღლეს თავისი მზრუნველობით ყოფას უმსუბუქებდა.

მამას სახლში მოსვლა ჩვენთვის დღესასწაულის ტოლფასი იყო, მთელი საღამო ჩვენ გვეფერებოდა, ღამით კი კითხულობდა, წერდა, სამეცნიერო ნაშრომებს ამზადებდა და აქვეყნებდა.


მამა დედასთან ერთად ხშირად დადიოდა ვედიდკარის წმინდა მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესიის ნანგრევებზე და გულმხურვალედ ლოცულობდა. ყოველთვის სწამდა, რომ ეს ეკლესია ოდესღაც აუცილებლად აღდგებოდა. მართლაც დღეს ეკლესია მოქმედია და იქ მამა იოანე მსახურობს. სწორედ აქ განისვენებენ ჩემი ბებიები, ბაბუები, მშობლები და და-ძმა.

2013 წლის 8 იანვარს კათოლიკოს პატრიარქმა ჩვენი გვარი დალოცა. სპეციალურად ამ დღისთვის დანერილი ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატი სწორედ ჩვენს მიერ ვედიდკარში წმინდა მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესიაშია დაბრძანებული.

აი, ასეთი იყო ერთ-ერთი ეპიზოდი მამას ცხოვრებიდან. მამას სახელი არასდროს მიეცემა დავიწყებას, მას ეზრდება შთამომავალი, რომელმაც კარგად იცის პიმენ მიქაიას ღვაწლი და დამსახურება. ჩვენს, ანუ შვილების შემდეგ, შვილიშვილები: ნანა, კახა, ალექსანდრე, თეა, ლოლა, ნატო, ნინო და შვილთაშვილები: ვიქტორი, სანდრო, ნანა, ლუკა, ირაკლი, ნიკოლოზი და გაბრიელი დანერენ ჩვენი ოჯახის ისტორიას.

ღრმად მწამს, რომ მამას კვალი არასდროს წაიშლება.

გიორგი მიქაია



გადაეხა თუ არა სინაფილავში არაბულ კომპანია „კაქინს“ ფოთში მიწები უსასყიდლოდ, რამოც დააჯარიმა სასამართლომ ფოთის მერი 800 ლარით და შინ არიან „ოფისიალური მილიონები“ ფოთში

ამბობენ, ფოთი ერთი დიდი პრობლემააო. ეს არის მკვდარი ქალაქი, რომელსაც ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ გამოცოცხლდეს. რა ანუხებს მოსახლეობას, ამის გათვალისწინებით შევეცდები დაგინახოთ იქ არსებული სიტუაცია ადგილობრივი მაცხოვრებლების გადმოცემით. ფოთში ხალხს ავარიული საცხოვრებლისა და გზასთან დაკავშირებული პრობლემა ანუხებთ. მოსახლეობა დანგრეული საგზაო მონაკვეთების მონესრიგებას და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ითხოვს. ცხადია, ავარიულ მდგომარეობაში მყოფ სახლებში ცხოვრება დღითიდღე უფრო სახიფათო ხდება. სამწუხარო ფაქტია, რომ ფოთის მერი და „ქართული ოცნების“ ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარე ირაკლი კაკულია, ქვეყანაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას, ის რომ საზოგადოება სრულ სიღარიბემდეა მისული, ჯერაც ვერ ითავისებს. ვერ ითავისებს იმასაც, თუ რა შედის ქალაქის მერის, ანუ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში. მუდმივად განხილვის რეჟიმში არიან, წუხან, შფოთან, მაგრამ... მერიაში არსებობს პროექტები. არავინ იცის ეს რა

პროექტებია, როდის განხორციელდება. იციან მხოლოდმათ. არადა, ხელისუფლებავალდებულია მუდმივ კომუნიკაციაში იყოს ხალხთან, რადგან ქვეყანას მარტო ხელიუფლება არ წარმოადგენს. მთავარი ბირთვი და ძალა ხალხია. ვფიქრობ, ქალაქთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას მერია ისევ მათთან ერთად უნდა განიხილავდეს და



ფოთის მერი ირაკლი კაკულია

აგვარებდეს. ხალხის აზრი ბევრად მნიშვნელოვანია. სწორედ ეს ძალა განაგებს ქვეყანაში არჩევნების ბედს. იქნებ ეს ის პროექტებია, რაც წინა ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაინყო და დღევანდელი ხელისუფლების უნიათობის გამო მათი დასრულება ასე

გაინელა მეორედ მოსვლის იმედით. დიახ, წინა ხელისუფლების დროს. მოდი, ნუ დავმალავთ ამას. საიდან შეიძლება დაიწყოს მიმოხილვა როცა პრობლემებს ეხები, არც კი იცი ადამიანმა. მათივე წინასაარჩევნო დაპირება, თუნდაც იპოთეკით დაზარალებულებთან დაკავშირებით, დაპირებად დარჩა. აღარაფერს ვიტყვით მათ მიზანმიმართულ შეცდომებზე, მერიიდან გაშვებულ მაღალპროფესიულ კადრებზე, კომპეტენტურ გამოცდა გავლილ ადამიანებზე თავიანთი ახლობლების დანიშვნის მიზნით. საყურადღებოა ისიც, რაც ფოთის მერიამ განაცხადა, რომ თითქოს „რაკინმა“ უსასყიდლოდ მიიღო მიწები ფოთში (ერთ-ერთი უმსხვილესი არაპული კომპანია „რაკინი“ საინვესტიციო გეგმით ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ბიზნეს-თაუერის მშენებლობას აპირებს.

ამასთან, „რაკინი“ ზონის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად 100 მილიონ დოლარს ჩადებს ავტ.). ცნობილია ისიც, რომ (სახალხო დაცვის აპარატის ინფორმაციით) ფოთის მერია ხშირ შემთხვევაში დროულად არ გასცემს საჯარო ინფორმაციას, რის გამოც პრობლემები ექმნებათ სხვადასხვა ორგანიზაციებს, რომლებსაც სურთ მონიტორინგის განხორციელება (ეს დადასტურებულია სასამართლო გადაწყვეტილებით). 2015 წელს სასამართლომ ფოთის მერი 800 ლარით დააჯარიმა, რადგან მან კანონით გათვალისწინებულ ვადებში არ მიანოდა საჯარო ინფორმაცია სახალხო დაცვის აპარატს. ჩვენ შევეცადეთ გავვერკვია სიტუაცია საპორტო ქალაქიდან თავად მოსახელობისგან და აი, ვნახოთ, რას ამბობენ ისინი.



რა სება თუთში ცეცს?!

— მე მაინტერესებს, რა სიტუაციაა დღეს რეალურად ფოთში, რა პრობლემებია, რასაც ფიქრობთ, რომ მერიის კომპეტენციაში შედის და არ კეთდება?

როზა ადამია:

— ფოთში სიტუაცია არ შეცვლილა. შენობები და ფასადები, რომლებიც ლამაზდება და შენდება, ისევ მორიგი ჩინოვნიკის სკამზე მოსაკალათებლად. ქალაქში უამრავი მშენებელი ადამიანი დადის. უპოვართა სასადალო ფუნქციონირებდა ადრე, დღეს ისიც არ ფუნქციონირებს.

— ქალაქის მერს მოქალაქეების მისაღებად ერთი დღე აქვს გამოყოფილი. მერიის საათები ეთმობა ხალხს, ესაუბრება, განიხილავს მათ პრობლემებს, თუ ყველაფერი სრულდება მარტივად — დაპირებებით?

— მე ვერ გეტყვით, მერი ხვდება თუ არა მოქალაქეებს კაბინეტში, მაგრამ მოქალაქეებზე უკეთ რომ ცხოვრობს, ფაქტია. უკეთ დადის თეატრში, რესტორანში, ქალაქგარეთ თუ საზღვარგარეთ. ეს მარტო ფოთის მერს კი არ ეხება, ყველა მერი ასე ცხოვრობს და ჩვენი გამონაკლისი ხომ არ იქნება? არ ვიცი... ქალაქს არაფერი დასტყობია და ვერ გეტყვით უფრო კონკრეტულად. ჩემი, როგორც პედაგოგის პრობლემები მერს არ აინტერესებს. მეტი საქმე უნდა აკეთოს... ძველად ყმები არჩენდნენ თავადებს და აზნაურებს, მაგრამ ომში თავადები და აზნაურები ყმების წინ იდგნენ. ჩემი თვალთ დანახული ფოთი არის ჩაბნელებული, მიუსაფარი, უპატრონო, სხვის სანამებლად მიგდებული და დადუმებული, უინტერესო დაბა.

— თქვენ რომ იყოთ დღეს აღამსრულებელ



ან საკანონმდებლო ხელისუფლებაში, რას გააკეთებდით? რა უნდა გაკეთებულიყო და არ გაკეთდა პირველი და მთავარი?

— გავაკეთებდი იმას, რომ მოვითხოვდი მთავრობის თანადგომას იმისათვის, რომ ქალაქი ქალაქს დამსგავსებოდა. ქალაქში ბევრი რამის დეფიციტია, უპირველესად, განათლებული და პროფესიონალი კადრების, რომლებიც რატომღაც დღემდე ჩრდილში არიან.

გზებიც და სახლებიც მხოლოდ თვალის ასახვევად არის მოპირკეთებული. სხვა, არც ერთი ჩიხი და ქუჩა არაა გაკეთებული და განათებული ღამით. თეატრი ავაშენეთო — ლაპარაკობენ. ვისთვის? იმათთვის, ვისაც თვეში ათას ლარამდე აქვს შემოსავალი... ერთი სპექტაკლი 15 ლარი ღირს. ტრანსპორტზე მეტი პრობლემებია ქალაქში. ფოტი პატარა ქალაქია მაინც და ტრანსპორტის პრობლემებს კიდევ მოითმენს ადამიანი.

— პორტთან დაკავშირებით რას გვეტყვი. ის ხომ ქალაქის ტერიტორიაზეა. ეკოლოგიური თვალსაზრისით, ქალაქს ალბათ მნიშვნელოვან ზიანს აყენებს, როდესაც ზღვის პროდუქტების გადაზიდვა-გადმოზიდვა ხდება.

— კი, ფოთის ტერიტორიაზეა. პორტით ქალაქის მოსახლეობა ვერ სარგებლობს, მაგრამ ეს არაა პორტის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის და მთავრობის ბრალი. ვინც გაყიდა ნავსადგური, მას ჰკითხეთ. კი ბატონო, გავყიდოთ, მაგრამ დაგეტყოს რომ გავყიდეთ, თუმცა ვინც პირადად პორტს მიმართა დახმარებისთვის, ვისაც დახმარება სჭირდებოდა, ყველა განზილებული აღმოჩნდა. ეს პორტის დღევანდელი მმართველების კეთილი ნება და მაღალი ადამიანური შეგნების ამბავია. მხოლოდ ერთ რამეს გეტყვით, ამბობენ ფოთს ოფიციალური მილიონრები ჰყავსო. ქალაქი ძირითადად მშვიერი და გასაცოდავებულია. ყველაზე ძვირი და ყველაზე დაუცველი დღეს ფოთის ბაზარია. მე ამ ქალაქში ოცდახუთი წელია ვცხოვრობ და ოცდახუთი წელია ვუყურებ მხოლოდ სილატაკეს, უინტელექტო სივრცეს, მოსანყენ ქუჩებს და მერიის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებს, რომელთაც არასოდეს ეტყობათ დღესასწაული. განათლებული ახალგაზრდობა მირბის ამ ქალაქიდან. კარგს და საინტერესოს არავინ გაექცევა, ასე არაა?

— თქვენ თქვით, ფოთს ოფიციალური მილიონრები ჰყავსო. რას ნიშნავს ოფიციალური მილიონერი, ჩემთვის ცოტა გაუგებარია. არაოფიციალური მილიონრების მართლა არ მიკვირს. ვიზუა საუბარი. იქნებ ესეც გვითხრათ?

— ფოთს რომ ოფიციალურად თუ არაოფიციალურად ჰყავს მილიონრები, ეს ყველა



ფოთელმა იცის. ღმერთმა ამრავლოს მილიონრები საქართველოში, მაგრამ ისეთები, რომლებიც ნახევარს მაინც გაიმეტებენ თავიანთი ქალაქისთვის.

ანა ნანავა:

— ფოთი ზოგადად პრობლემატური ქალაქია. პირველ რიგში, გვინდა ჯანმრთელობა, რის საშუალებასაც ხამსის ქარხნიდან ამოსული სუნი და მეტალურგიული ქარხნის გამონაბოლქვი არ გვაძლევს. ამ ქალაქში ყველაფერი ჩამკვდარია. ახალგაზდრობას არ გააჩნია არანაირი გასართობი, რომ იყოს ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზები, საცურაო კომპლექსი, კინოთეატრი, სალონისძიებო დარბაზები... არაფერი. ბევრი უპატრონო და აუთვისებელი ადგილია, სადაც ბევრი რალაცის კეთება შეიძლება, მაგრამ ზოგადად ფოთით არავინ ინტერესდება, ყველაფერი ეს მერიის საქმეა. ბაზარი, ბაზრობა იმდენად ძვირია, გაუსაძლისია უკვე აქ ცხოვრება. როგორ ირჩინოს ადამიანმა თავი?!

— როგორი სიტუაციაა გარევაჭრობის, ჯანდაცვის მიმართულებით. კერძო, თუ საყოველთაო დაზღვევა რამდენად მუშაობს?

— საყოველთაო დაზღვევა რალაც დოზით მაინც აძლევს ადამიანს ცხოვრების საშუალებას. წარმატებულ ნაბიჯად თვლის ხალხი. ასეა თუ ისე, ეს პროგრამა ყველამ ვიცით, რომ წინა ხელისუფლების დანერგულია და კიდევ კარგი, რომ ამ ხელისუფლების პირობებშიც გრძელდება.

— კიდევ რას მიიჩნევთ ხელისუფლების წარუმატებლობად?

— იცით რა? მთავრობა ფოთში ასახლებს გალიდან, სოხუმიდან და სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ოჯახებს. უსამართლობაა, როცა მთავრობას სხვა ქალაქებიდან ჩამოჰყავს ხალხი ფოთში საცხოვრებლად, როცა არიან ფოთელები, რომლებსაც სახლ-კარი არ გააჩნიათ და ძველ სასტუმროებში, გაუმართავ შენობებში შეუშვებს, ყოფილი სასტუმროს ნომრებში, სადაც ცხოვრება შეუძლებელია, საშინელ პირობებში არიან. არ ვართ წინააღმდეგი სხვებს დავეხმაროთ, მაგრამ პირველ რიგში ფოთმა ფოთელებს უნდა მიხედოს და მერე სხვას.

— რას დაგპირდათ მერია ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით და არ შეასრულა? თუნდაც სანაპიროს მოწესრიგება. მართალია ისევე როგორც პორტი, ბევრი რამ გასხვისდა, მაგრამ პასუხისმგებლობა ქალაქზე ხომ მაინც ადგილობრივ მთავრობას ეკისრება?

— ზოგადად, დანაპირების ასრულება ყველას უჭირს, ასევე ფოთის მერიასაც. გვიხარია, სანაპიროს კეთილმოწყობის სამზადისი. მგონი

სანაპიროს მეტი აქ არც არაფერი კეთდება. ესეც დიდი მიღწევაა ფოთისთვის. დიდი ხანია აქ არაფერი გაკეთებულა და ამისთვისაც მადლობლები ვართ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ფოთს განვითარებისათვის დიდი პერსპექტივა აქვს და ვიმედოვნებთ ოდესმე გამოჩნდება ვინმე, ვინც ფოთს აქცევს ისეთ ქალაქად, რომელიც ფოთს და ზოგადად ქართველებს კი არა, უცხოელ სტუმრებსაც გადარევეს. ამაში ხელს ბუნება უწყობს ფოთს, მაგრამ პატრონი სჭირდება.

ოლიკო ცისკარიშვილი:

— ფოთის ტურისტულ პოტენციალზე წარმოდგენაც კი არ მქონდა. აქამდე ვფიქრობდი, რომ ფოთში ადგილობრივ, თუ უცხოელ ვიზიტორს მხოლოდ პალეოსტომის ნახვა და ფოთის სავიზიტო ბარათის – ფოთის საკათედრო ტაძარი იყო, რომლის აღადგინა-რესტავრაცია რამდენიმე თვის წინ დასრულდა. საქართველოში, ფოთის საკათედრო ტაძარს, ანალოგი არ გაჩნია რამდენჯერმე მოხდა შენობის რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც მისი იერსახე საკმაოდ შეილახა. საბოლოოდ, კი ფოთის საკრებულოს გადანიშნულებით, შენობა ეკლესიას გადასცეს. ადგილობრივი, თუ საზღვარგარეთელი ვიზიტორებისთვისაც ტაძარი ერთ-ერთი სასურველი სანახავია. ქალაქ ფოთის მერია დაინტერესებულია ქალაქში ტურიზმის განვითარებით და ძალისხმევას არ იშურებს კონკრეტული ნაბიჯების გადასადგმელად. არის უამრავი მოსაგვარებელი პრობლემაც: გასაკეთებელია გზები, მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, მოსაზიდია ინვესტორები, ასაშენებელია სასტუმროები და გასართობი ცენტრები, მოსავლელი და მისახედია ფოთში არსებული მუზეუმი, სადაც უნიკალური არტეფაქტები ინახება. მისახედია უდიდესი ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის კოშკი, იპოდრომი, იახტკლუბი და უნდა გაითავისონ, რომ ტურიზმში ჩადებული კაპიტალი, არა მარტო ქვეყნის პოპულარიზაციას წაადგება, ქვეყნის ეკონომიკისთვისაც სარფიანი იქნება. იპოდრომი, ეს კიდევ ერთი ობიექტი ფოთში, რომლითაც ტურისტების დაინტერესება შეიძლება, მისი კეთილმოწყობის შემდეგ. არადა, თავის დროზე, ტურისტებისთვის კოტეჯებიც კი აშენდა, რომელიც ახლა უიმედოდ და უფუნქციოდ გამოიყურება. იპოდრომს ფოთის მერია აფინანსებს, თუმცა, ეს თანხა მიზერულია, იმასთან შედარებით, რაც რეალურად სჭირდება იპოდრომის გამართულად მუშაობას.

ეკა პატარია



„ანგონავტების“ მითის საიდუმლო

ჩვენში დიდი თუ პატარა დარწმუნებულია, რომ კოლხეთის მეფე აიეტის ქალიშვილმა მედეამ მამას და სამშობლოს უღალატა, ბერძნებს ოქროს სანმისი გაატაცებინა და ასე შემდეგ... მაგრამ საქმე სულ პირიქითაა: არგონავტებმა მედეა მოიტაცეს!..

თვით „ისტორიის მამად“ აღიარებული ჰეროდოტეს უძველეს და უნიკალურ ნაშრომებშია დაფიქსირებული! აი, რას წერს ჰეროდოტე თავის ცნობილ „ისტორიაში“ (წიგნი, „კლიო“): „ელინებმა უსამართლობა მეორედ ჩაიდინეს; გრძელი ხომალდით მისცურეს აიაკოლხიდაში, მდინარე ფაზისთან და იქ, როდესაც გააკეთეს ის, რისი გულისთვისაც მივიდნენ, მოიტაცეს მეფის ასული მედეა. კოლხთა მეფემ გააგზავნა ელადაში მოციქული, რომ მოეთხოვა სამართალი მოტაცებისთვის და უკან გამოეთხოვა ასული, ხოლო ელინებმა უპასუხეს, რომ არც მათ უგიათ პასუხი მათ წინაშე არგოსელი იოს მოტაცებისათვის და ამიტომ არც თვითონ აპირებენ, რომ მისცენ მათ რაიმე...“ ანუ თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, თვით ჰეროდოტეს არგონავტები ტიპურ „ტრეფიკორებად“ და მეკობრეებად გამოჰყავს... მეტსაც გეტყვით: მედეას შვილების მკვლელ დედად გამოცხადებაც უსინდისო ტყუილია!

ლევან სანიკიძეს თავის „უქარქამო ხმლებში“

კლავდიუს ელიანუსის წყაროებზე დაყრდნობით უწერია, რომ ეს იყო ერთგვარი „შეკვეთილი ისტორია“...

დიახ! იმის გამო, რომ მედეამ ქმრის - უფლისწულ იაზონის ღალატის გამო შური იძია მის საცოლზე - კორინთოელთა მეფის ასულზე, კორინთოელებმა თავად მოკლეს მედეას შვილები და ეს დედას დააბრალეს!..

თანაც, კორინთოელებმა ძალიან ვერაგული ხერხი გამოიყენეს იმისთვის, რომ ისტორიაში მედეას შვილების მკვლელად თვითონ კი არა, კოლხთა პრინცესა მედეა შესულიყო! კორინთოელებმა 5 ტალანტი მისცეს ბერძენ ტრაგიკოს ევრიპიდეს, რომელმაც სინდისის ქენჯნის გარეშე შეასრულა ეს დაკვეთა და თავის ცნობილ ტრაგედიაში „მედეა“, ის თავისი შვილების მკვლელად გამოაცხადა.

თუმცა, დავუბრუნდეთ ჰეროდოტეს „ისტორიას“; ჰეროდოტე მედეას მოტაცების ამბავს ასე აგრძელებს: „ამბობენ, რომ მეორე თაობაში ამის შემდეგ, ალექსანდრე პრიამოსის ძემ ყოველივე ამის შემდეგ მოინდომა, რომ თავისთვის ელადიდან მოეტაცა ქალი. მან კარგად იცოდა, რომ არ მოუხდებოდა პასუხისგება, რადგან არც იმათ უგიათ იმათ თავის დროზე პასუხი. ასე მოიტაცა მან ჰელენე.. ტროელებმა თავი იმით იმართლეს,

რომ შეახსენეს ელინებს მედეას მოტაცება.. ელინებმა კი ერთი ლაკედემონელი ქალის გულისთვის დიდი ლაშქარი შეკრიბეს, შემდეგ მივიდნენ აზიაში და პრიამოსის ძალაუფლება დაამხეს...“, ანუ ჰეროდოტე მოგვითხრობს პარის პრიამოსის ძის (ალექსანდრეს) მიერ ელენეს მოტაცებაზე და ამ ამბიდან გამომდინარე დან-ყებულ ბერძენ-ტროელთა ომზე, რაც ტროას უძველესი კულტურის დამხობით დასრულდა...

თუმცა, სწორედ ტროელები იყვნენ პროტოქართული, პელაზგური წარმოშობის ხალხი! ამაზე ზვიად გამსახურდიას აქვს გამოქვეყნებული შესანიშნავი კვლევები....დაიხ! შეიძლება ითქვას, ტროელებმა, როგორც პროტოქართველებმა, ელენეს მოტაცებით, ერთგვარად შური იძიეს ბერძნებზე, რომლებმაც კოლხებს, ანუ ტროელთა ნათესავებს მედეა მოსტაცეს!

გარდა ამისა, ცნობილი გერმანელი მეცნიერი ბორის გრეინშპოლი თავის ნაშრომში „ტროელები და იბერიელები“ პირდაპირ წერდა: „ქართველებმა დედამიწაზე პირველებმა მოიშინაურეს ცხენი და როგორც ჩანს, ავსტრიაში მივიდნენ, სადაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 2800 წელს შექმნეს ბადენური კულტურა. როგორც ჩანს, ქართველები იყვნენ ლეგენდარული ტროელებიც, თუმცა, მათგან დღეს მხოლოდ ერთი ხალხი დარჩა - ქართველები...“ მოკლედ, ბერძნებმა პროტოქართული ცივილიზაციის ნანგრევებზე ააშენეს თავიანთი კულტურა და იმავდროულად, ისტორიაც საფუძვლიანად გააყალბეს!...

ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბერძნებმა აგერ, ჩვენს ცხვირწინ ნაშალეს რუსთაველის ფრესკა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში! მათ ჯერ ეს ამაზრზენი დანაშაული ჩაიდინეს, შემდეგ კი აქეთ გვამუნათებდნენ ქართველებს, რა პრეტენზიები გაქვთ, ჯვრის მონასტერი თქვენ არასოდეს გეკუთვნოდათ!..

მოკლედ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ მედეა არ იყო მოღალატე! მედეას არ მოუკლავს თავისი შვილები! მედეა არგონავტებმა - მსოფლიო ისტორიაში, ალბათ, ყველაზე უსინდისო სტუმრებმა - გაიტაცეს ოქროს საწმისთან ერთად!... და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უთვალსაჩინოესი - ტროას კულტურა პროტოქართული იყო!..

უძველესი ქართულ-იბერიული ცივილიზაცია, გარკვეულწილად, ყველა იმ ცივილიზაციათა მშობელია, რომლითაც ასე ამაყოფს კაცობრიობა

და რომლებზეც დგას თანამედროვე მსოფლიო!

მთელ მსოფლიოში ცნობილია ასეთი მარტივი ვერსია: ბერძენი არგონავტები გემით მიცურდნენ აიეტის კოლხეთის უძველესი სამეფოს ნაპირებთან და იქიდან უდიდესი საგანძურით - ოქროს საწმისით დაბრუნდნენ სამშობლოში! თუმცა, ჯერ ერთი, ეს ოქროს საწმისი საუველირო ნივთი და ძვირფასეულობა არ იყო; მეორეც, რეალურად ვინ იყვნენ ეს „არგონავტები“? თუმცა, ჯერ ის ვთქვათ, რას წარმოადგენდა არგონავტების გამოჩენამდე პროტოქართული და პროტოკოლხური ცივილიზაცია... მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიურ ენციკლოპედიებში შავით თეთრზე წერია, დიდი ალბათობით, პროტოქართული და პროტოკოლხური ცივილიზაცია უმთავრესი ცივილიზაცია იყო! თავად განსაჯეთ:

აიეტი — კოლხეთის მეფეა!

პერსი — აიეტის ძმა, ტავრიელების მეფეა ყირიმში!

ალოე — აიეტის კიდევ ერთი ძმა მოიხსენიება, როგორც „დაფქვილი პურის ღმერთი“!

ახლა აიეტის დებიც გავიხსენოთ:

ქალიფსო (კალიფსო) --- ანუ „ქალი ფსოუდან“ მოიხსენიება, როგორც ქალღმერთთა ღმერთი, რომელიც ფლობდა კუნძულ ოგიგიას ხმელთაშუა ზღვის დასავლეთში!





ფაცია (ფასოფია) — მინოსის მეუღლე და კრეტას დედოფალი, რომლის შვილიც იყო ლეგენდარული არიადნა!

ცირა (ცირცეა) - კუნძულ ეას (აიას) ოქროს-ფერთმიანი დედოფალი, რომელიც თითქმის ყველა ევროპელი ხალხის მითიურ დედად ითვლება! ცირა ითვლება იტალიის პირველი მეფის ავსონის დედად, ასევე დედად იტალიისა, რომლის სახელითაც აპენინის ნახევარკუნძულს დღეს მთელი მსოფლიო „იტალიას“ უწოდებს და ასე შემდეგ...

და ამ დროს ვინ იყვნენ არგონავტები?! უძველესი ბერძნული ცივილიზაციის წარმომადგენლები?! არა! და ეს რომ მართლაც ასეა, უპირველეს ყოვლისა, მარტივი ქრონოლოგიითაც დასტურდება!

ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ბერძნებმა ტროას უძველესი პროტოქართული ცივილიზაცია ჩვენს ნელთალრიცხვამდე დაახლოებით მე-13 საუკუნეში დაამხეს და იავარქმნეს! არგონავტები კი ამ მოვლენებამდე, სულ ცოტა, რამდენიმე ასეული წლით ადრე ეწვივნენ კოლხეთს! ანუ ეს ის პერიოდია, როდესაც ბერძნებს ჯერ კიდევ არ ჰყავდათ არც „ისტორიის მამად“ აღიარებული ჰეროდოტე, არც უდიდესი მოაზროვნე პლატონი და არც „ილიადას“ ავტორი ჰომეროსი!

ცნობილია ისიც, რომ იაზონის და მის არგონავტებს ხომალდ „არგოს“ (ანუ „სწრაფის“) მშენებლობაში თვით ქალღმერთი ათენა (ანუ თვით

სიბრძნე) ეხმარებოდა! ბერძნები ისე ძალიან იყვნენ დაინტერესებული კოლხეთის სამეფოში დავანებული ოქროს სანმისით, რომ მათ თავად ათენა დაეხმარა. ეს ოქროს სანმისი, უბრალოდ, ოქროსფრად მოელვარე ცხვრის ტყავი კი არა, ისეთი განსაკუთრებული რამ იყო, რის გარეშეც ბერძნებს არ შეეძლოთ არსებობა!

ახლა ვნახოთ, კონკრეტულად ვინ არიან ეს არგონავტები! არგონავტები არიან - თავად უფლისწული იაზონი, ჰერაკლე (ზევსის შვილი) თევზისი (ასევე ზევსის შვილი და ათენის დამაარსებელი), პროკრუსტე, სიზიფე, ლაერტი, პოლიდეკი, ავგეა (ცნობილი თავლების მეპატრონე), ავთოლიკე (ელინებს შორის უემპაკესი და უფლიდესი ღმერთის ჰერმესის შვილი), ასკლეპიოსი (მედიცინის ღმერთი), ანთოსი, ორფეოსი (პოეტა პოეტი), კენეუსი (რომელიც ქალად იყო გარდასახული) და ათობით ასეთი ღმერთი თუ ნახევრად ღმერთი - ზევსის, პოსეიდონის, აპოლონისა და დიონისეს შვილები.... მოკლედ, არგონავტები, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, მსოფლიო ნაკრებია, რომლებიც სხვადასხვა ეპოქის შვილები იყვნენ და შეუძლებელია, ერთ ხომალდზე მოხვედრილიყვნენ!... ანუ ბერძნებმა ოქროს სანმისის მოპარვის ერთგვარი გამართლებისთვის შექმნეს მითი, თითქოს მათ, როგორც უფრო მაღალი ცივილიზაციის ხალხმა, სამართლიანად მიისაკუთრეს კოლხების - უფრო „დაბალი ცივილიზაციის ხალხის“ საგანძური? უფრო რომ გავამარტივოთ: ბერძნებმა შექმნეს მითი, თითქოს არგონავტების სახით კოლხეთში ჩავიდა მსოფლიო ნაკრები, რომელმაც, რა თქმა უნდა, დაამარცხა ფოთის „კოლხეთი“! სინამდვილეში კი, არგონავტების მიერ კოლხეთიდან ოქროს სანმისის გატაცება იყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი აფერა და დანაშაული! სწორედ ოქროს სანმისის ელადაში ჩატანას უკავშირდება იმ ძველი ბერძნული ცივილიზაციის რენესანსი, რომლითაც ასე აღტაცებულია მთელი კაცობრიობა! ანუ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძველი ბერძნული ცივილიზაცია სწორედ კოლხეთიდან გატაცებულ სიბრძნეზე აღმოცენდა!

კაცობრიობის ისტორია თამამად შეძლება დაიყოს ორ ეტაპად: ოქროს სანმისის მოტაცებამდე და მისი მოტაცების შემდეგ! ამით იმის თქმა მსურს, რომ აიეტის კოლხეთი იმჟამინდელი სამყაროს ერთგვარი ცენტრი იყო

- ადგილი, სადაც დავანებული გახლდათ თვით ოქროს სანმისი! კოლხეთის ოქროს სანმისი კი, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, იყო იმჟამინდელი სამყაროს კეთილდღეობისა და სიბრძნის სიმბოლო! ალბათ, ამიტომაც არის, რომ არგონავტების მიერ ოქროს სანმისის მოპოვებას მითოლოგები და ისტორიკოსები აიგივებენ წმინდა გრაალის აღმოსაჩენად დამაშვრალი კაცობრიობის ლტოლვასთან! კოლხური ოქროს სანმისი იმჟამინდელი კაცობრიობისათვის სწორედ ერთგვარი „წმინდა გრაალი“ გახლდათ! და ეს წმინდა გრაალი ბერძნებმა მოიპარეს!

ჩვენ კარგად უნდა გავითავისოთ ერთ რამე: ეს არგონავტები არ უნდა აგვერიოს იმ უმაღლესი ცივილიზაციის წარმომადგენელ ძველ ბერძნებთან, რომელთაც დღეს მთელი მსოფლიო შენატრის! არგონავტების დროინდელი ძველბერძნული სამყარო იყო, პრაქტიკულად, ველური, მძარცველური მენტალიტეტის სივრცე, რომელმაც გასაკეთილშობილებლად სწორედ ოქროს სანმისის მოპოვება განიზრახა! მაგალითისათვის: არგონავტებს შორის იყო ავტოლიკე - ბერძნული ღმერთის ჰერმესის შვილი! და ვინ იყო ჰერმესი? ქურდებისა და ავაზაკების მფარველი!

თავად ბერძნების მითოლოგიით, ჰერმესმა თავის შვილს მიზნის მისაღწევად, უფლება მისცა, ტყუილზე დაიფიცოს მამის სახელი! ანუ ღმერთი თავის შვილს ასწავლის, ჩემი სახელი დაიფიცე, მოატყუე ხალხი, ოღონდ შენ იხეირეო! გარდა ამისა, თავად ბერძნულ მითებში დაუფარავად არის გადმოცემული, რა მზაკვრული გეგმით მოხდა აიეტის ქალიშვილის მედეას „გადაბირება“. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ბერძნებს ისე ძლიერ სურდათ ოქროს სანმისის დაუფლება, რომ მედეას იაზონით მოხიბვლაში ჩაერთვნენ ძველბერძნული უმაღლესი ქალღმერთი ჰერა, სიბრძნის ქალღმერთი ათენა და თვით სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე!.. დიახ, ამ ქალღმერთთა მეცადინეობით, ბერძნული მითების გადმოცემით, სწორედ აფროდიტეს შვილმა ეროსმა ესროლა სიყვარულის ისარი მედეას... აი, ასეთი იყო არგონავტების დროინდელი ბერძნული ზნე-ჩვეულებანი! ხაზგასმით ვიმეორებ, ეს იყო მძარცველურ-ავაზაკური მენტალობის ხალხი, რომელსაც აუცილებლად სჭირდებოდათ გაცეთილშობილება და ამიტომაც გადანყვიტეს კოლხური ოქროს სანმისის მოპოვება! და ოქროს

სანმისის მიტაცების შემდეგ, მათ ეს მიზანი შეასრულეს. ფაქტია, რომ ასეც მოხდა! ჰომეროსი და პლატონი ძველმა ელადამ მას შემდეგ შვა, რაც ძველმა ბერძნებმა კოლხეთიდან მოიპარეს ოქროს სანმისი! ახლა დავუმატოთ ამას ძველი ბერძნების მიერ მოგვიანებით დაპყრობილი პროტოქართული, პელაზგური ტროა და იქაურ უნიკალურ ცივილიზაციასთან ზიარება და დავასკვნით, რომ ძველი საბერძნეთის მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი უზარმაზარი ცივილიზაცია სწორედ ოქროს სანმისის პროტოქართულ საფუძველზე დგას! ანუ, რომ არა კოლხეთიდან ოქროს სანმისის მოტაცება, შესაძლოა, ძველ საბერძნეთში შექმნილი უნიკალური ცივილიზაცია სწორედ ჩვენს მიწაზე აღმოცენებულიყო?! ლოგიკა და მითოლოგიაში დავანებული სიბრძნე ასეთი დასკვნის აშკარა საფუძველს იძლევა!...

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ეს არ არის ქართული ეთნოცენტრიზმი და ურპატრიოტიზმი! ჩვენ ვეყრდნობით ათასწლეულების ისტორიულ გამოცდილებასა და ლოგიკას! ბოლოს და ბოლოს, ჩვენ, ქართველებს ხომ არ აღმოგვიჩენია, რომ კაცობრიობის უძველესი ცივილიზაცია პროტოიბერიულ-პროტოქართული იყო?! ამას მსოფლიო დონის მკვლევარები ამტკიცებენ!

თავად ის ფაქტი, რომ იმდროინდელი „წმინდა გრაალი“ - ოქროს სანმისი სწორედ კოლხეთში იყო დავანებული და მის მოსაპოვებლად ძველმა ბერძნებმა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდ ავაზაკობა ჩაიდინეს, ბევრ რამეზე მეტყველებს! თუმცა, ეს ამბავი მხოლოდ ბერძნული ცივილიზაციის აყვავებით არ დასრულებულა! ძველმა ბერძნულმა ცივილიზაციამ შვა რომაული ცივილიზაციაც! ანუ ის ცივილიზაცია, რამაც საფუძველი დაუდო თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციას! ამდენად, რომ არ ყოფილიყო კოლხური ოქროს სანმისი -- იმდროინდელი „წმინდა გრაალი“, ვერ შეიქმნებოდა ძველბერძნული ცივილიზაცია!

რომ არ ყოფილიყო ძველბერძნული ცივილიზაცია, ვერ შეიქმნებოდა ძველი რომის ცივილიზაცია!

და რომ არ ყოფილიყო ძველი რომის ცივილიზაცია, ვერ შეიქმნებოდა თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაცია!

სწორედ ამაშია არგონავტების მითის მთავარი საიდუმლო: თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაცია კოლხურ ოქროს სანმისზე აღმოცენდა!..

„არნ. ჩიქობავა წარსულის ეძე ქასეხსას ჰგავდა და მოგავლის მოქალაქე იყო“

პროფ. გურია კვარაცხელია



1898 წლის 26 მარტს სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩიქობავოში დაიბადა საქართველოში კავკასიოლოგიური სკოლის ფუძემდებელი აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა.

ივანე ჯავახიშვილი კავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისას წერდა: „ერთა შორის მჭიდრო დაახლოება შეუძლებელია, თუ რომ ენის უცოდინარობა ერთავ მხრივ მოღვაწეებს საშუალებას არ აძლევს ერის გულის ნაღები შეიგნოს და გაიზიაროს და თავისის გულის ტკივილიც სიღრმეზე აგრძელონ, ამიტომაც ჩვენი მუშაობა თავდაპირველად კავკასიის მთიელთა და დაღესტნელთა ენის შესწავლით უნდა დაიწყოს. ეს კი ჩვენი უნივერსიტეტის წმინდა მოვალეობაა და სწორედ მან უნდა იკისროს.“ სწორედ ამ დიად, წმინდა მისიას ჩაუდგა სათავეში არნოლდ ჩიქობავა და თავისი მოღვაწეობით უდიდესი ღვაწლი დასდო ქართველ და კავკასიელ ხალხებს.

გავისხენოთ, თუ რას წერდნენ მასზე:

„წავიდა ჩვენგან დიდი მეცნიერი, რომლის სახელი დაუვინყარი იქნება ქართველური და კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიაში.“

აკაკი შანიძე

„შეუცვლელი არავინ არისო, ითქმის და - ჭეშმარიტადაც, მაგრამ არა მგონია, ახლო ხანში გამოჩნდეს იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში არნოლდ ჩიქობავას სადარი, მით უფრო მისი შემეცვლელი, მასავით ამავდარი.“

ანდრია აფაქიძე

„არნოლდ ჩიქობავა იყო ტიტანური პიროვნება, მაცოცხლებელი ჰაერივით რომ სჭორდება წარმომშობ ერს. მეორე მხრივ, ასეთი ტიტანური პიროვნებისათვის ნიშანდობლივი შეუდრეკლობა და სტიოციზმი გარკვეულ დისკომფორტსაც უქმნიდა მის გარშემო მყოფ „ჩვეულებრივ მოკვდავთ“ და, ამდენად, პაექრობის დროს კი - ნონასწორობის დაკარგვა (როცა მიბაძვა ძნელდება, კიცხვას არჩევენ). ასეთი პიროვნების არამცთუ მტრობა-მეტოქეობა, მეგობრობაც კი არ იყო ადვილი. მტერიცა და მოყვარეც ბატონ არნოლდს მუდმივად მხედველობის არეში ჰყავდა მოქცეული და თავისი

გამჭოლი მზერით არ ასვენებდა - აფხიზლებდა და ავაჟუკაცებდა ერთსაც და მეორესაც.“

შუქია აფრიდონიძე

„ქართველ ხალხს მრავალი გამოჩენილი მეცნიერი ჰყავს, მაგრამ მხოლოდ რჩეულნი არიან მეცნიერული სკოლის ფუძემდებელნი. არნ. ჩიქობავა ამ რჩეულთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი ენათმეცნიერების ახალი დარგის - იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შემქმნელია და ამავე დროს, ამ დარგში მომუშავე სპეციალისტთა აღმზრდელი.“

დოც. ეკ.ოსიძე, პროფ. გ.როგავა

„არნ. ჩიქობავამ ახალგაზრდობიდანვე აირჩია ცხოვრების მძიმე გზა. თუ ზოგი დიდი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი თავის შესაძლებლობას პირად კეთილდღეობას ახმარს, ბატონი არნოლდი მთლიანად საზოგადოებრივ საქმეებში იყო ჩაფლული. მოღვაწეობაში საზოგადო ინტერესებით ხელმძღვანელობდა, ერისადმი, მეცნიერებისადმი, ჭეშმარიტებისადმი ერთგულება მისგან მოითხოვდა ერთგვარ განდგომილობას, ასკეტურ ცხოვრებას...“

პროფ. ვლადიმერ ნორაკიძე

საუკუნის ადამიანი

„ჩემი სტუდენტობის დროინდელი ახალგაზრდობისათვის აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა თავისი მრავალმხრივი განსწავლულობით, აზროვნების მანერით და ასე განსაჯეთ, გარეგნობითაც კი, გახლდათ ევროპული ტიპის, ევროპული რანგის მეცნიერი, რომლის ლექციებს ისეთივე ინტერესით ვუსმენდით ახალგაზრდა მწერლები, როგორც ესთეტიკის კურსს, ვინაიდან მისეული მეცნიერული დებულებები ყოველთვის აღბეჭდილი იყო ფრაზის ელეგანტურობით, ფორმისეული სინატიფით.“

მოთა ნიშნიანიძე

„ბატონი არნოლდი იყო დიდი მეცნიერი, დიდი მოღვაწე, დიდი პატრიოტი-ინტერნაციონალისტი, დიდი მოაზროვნე, მაგრამ ყველა ჩვენგანსათვის იგი იყო უპირველესად უდიდესი მძვინვარე მორალური ავტორიტეტი.“

ნოდარ ანდლულაძე

„არნოლდ ჩიქობავა არა მარტო დიდი მეცნიერი, დიდი და მასშტაბური პიროვნებაც იყო. თავისი ცხოვრების წესით, თავისი გონების სიძლიერით და სულიერი სიმხნევით ამდიდრებდა ის ყველას, ვისაც ამის სურვილი და გაგების უნარი ჰქონდა, ვისაც სათანადო ძალა შესწევდა.“

მურმან სუხიშვილი

„არნოლდ ჩიქობავას მთელი ცხოვრება გახლდათ ღწვა, ხოლო ამ თავდაუზოგავი ღწვით ვლინდებოდა მისი ცხოვრება. მეცნიერების მსახურება მისთვის იყო მსახურება ერისა.“

თამაზ კვაჭანტირაძე

„ბატონი არნოლდის მთავარი სამრეკლო მის მიერ შექმნილი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება იყო და მის მიერ აგებულ ამ მაღალ სამრეკლოში ჩამოკრული ზარის ხმა სრულად კავკასიას სწვდებოდა და ყველას მშვენივრად ესმოდა და ესმის, თუ რას და რისთვის რეკავდა ბატონი არნოლდი.“

ავთანდილ არაბული

„არასოდეს დამცხრალა ჩემი აღფრთოვანება მისი ნათელი გონებით, რკინისებური ლოგიკით, ფართო და მრავალმხრივი ტალანტით, მისი

მოქალაქეობრივი გამბედაობით. სომხეთში ყოველი მისი ჩამოსვლა ჩვენთვის დღესასწაული იყო: მას იცნობდნენ და უყვარდათ სომხეთში.“

აკად. გეგორჯ ჯაუკიანი

„ბატონმა არნოლდმა დიდი გავლენა მოახდინა ჩრდ. კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების არა მარტო ენათმეცნიერების, არამედ საზოგადოდ მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე, ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ იგი იყო ამ რესპუბლიკათა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.“

პროფ. ზეინაზ კერაშევა (ჩრდ.ოსეთი)

„არნ. ჩიქობავასათვის ნიშანდობლივი იყო დარწმუნების უზარმაზარი ძალა, მე ვიტყვოდი მაგნეტიზმი. ამ ძალის მიღმა ჩანდა შესანიშნავი ბუნებრივი ნიჭი და ფართო გონებრივი თვალსაწიერი.“

პროფ. ტამერლან გურიევი

„პიროვნულმა მომხიბვლელობამ, პრინციპულობამ, მოზარდ თაობაზე ჭეშმარიტად მამობრივმა ზრუნვამ, უდიდესმა მოქალაქეობრივმა სიმამაცემ არნ. ჩიქობავას მოუტანა საყოველთაო სიყვარული.“

პროფ. ჯამალდინ კოკოვი (ყაბარდო-ბალყარეთი)

„არნ. ჩიქობავას სახით ჩვენ ვხედავთ მსოფლიო სახელის მქონე ერთ-ერთ უდიდეს საბჭოთა მეცნიერს, ქართული ეროვნული აზრის თვალსაჩინო წარმომადგენელს, კავკასიის პატრიოტს, მეცნიერ-ინტერნაციონალისტს, მეცნიერ მებრძოლს, პრინციპულსა და გაბედულს იდეისათვის ბრძოლაში, პატიოსანსა და კეთილშობილ მოქალაქეს...“

პროფ. ნურისლამ ჯიდალაევი

„არნ. ჩიქობავას ადამიანური სიმალლე, მორალური სისპეტაკე და სიმტკიცე მისი მეცნიერული მონაპოვარის თანასწორია.“

იგი გვასწავლის მეცნიერებისთვის თავდადებას, მშობლიური კულტურისადმი მონივნებასა და პატივისცემას. ის, როგორც მახვში, დასტრიალებდა საქართველოს ადგილის დედაც - ჩვენს დედენას.“

ნოდარ ანდლულაძე

არწონულ ჩიქობავას ჩანაწერებიდან:

- ✓ „მასწავლებელი დიდი ძალაა, როდესაც მან თავისი უანგარო მოღვაწეობით, ობიექტურობითა და პირუთვნელობით მოსწავლის, - პირველ ყოვლისა- მოსწავლის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.“
- ✓ „პატივი და დიდება ახალგაზრდობის აღმზრდელს, სკოლის ბურჯს, განათლების საქმის მედროშეს, მასწავლებელს.“
- ✓ „ხალხური სიმღერა, ენის შემდეგ ერის მეობის ყველაზე არსებითი ნიშანია“
- ✓ „ჩვენ უნდა აღვზარდოთ ისეთი ახალგაზრდობა, რომელიც მოვა არა იმისათვის, რომ იმსახუროს მეცნიერებაში, არამედ იმისათვის, რომ ემსახუროს მეცნიერებას.“
- ✓ „მეცნიერებაში საჭიროა გამბედაობა და არა გულადობა.“
- ✓ „გარდაუვალი წესია: ერთი თაობა მიდის, მეორე - მოდის... ხალხი კი უკვავია. უკვდავია მისი ენაც, თუკი მას ხალხმა ზურგი არ შეაქცია; ენა თაობიდან თაობას გადაეცემა და მისი წყალობით ეს თაობები ერთ ხალხად ითქმის: ხალხის მეობას მისი ენა გვანიშნებს.“
- ✓ „ქვეყანას სჭირდება განათლებული ახალგაზრდობა. ზერელე ცოდნა, უვიცობა პატრიოტული ვერ იქნება...“
- ✓ „გამარჯვება ვუსურვოთ ჩვენს ახალგაზრდობას შრომაში, სწავლაში, კაიკაცობაში! სახელიანი ივლიდეთ ცხოვრების გზაზე!“

„ქმა-ენები - მებრულ, სვანურ, ჭანური“ სიმდიდრე, რომელიც შემომქმედმა გვინყალობა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, ბოლო დროს რეგიონული და უმცირესობების ენების შესახებ „ევროპული ქარტიის“ თაობაზე მსჯელობის განახლებას მიუღებლად მიიჩნევს, რადგან მასში სეპარატიზმის საფრთხეს ხედავს. საფრთხე შეიძლება იქიდან მოვიდეს, საიდანაც ნაკლებად ელი. ინტერნეტსივრცეში ძალზე გააქტიურდნენ, ანგაჟირებული ადამიანები, რომლებიც მეგრულ და სვანური დიალექტების რეგიონალურ ენებად გამოცხადება სურთ. სწორედ ამ საკითხს ეხება ბატონ თამაზ კვაჭანტირაძის წერილი, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით.



სწორედ ეს სიმდიდრე გვინყალობა შემომქმედმა. ზოგადადაც თუ ვიტყვით, ერთგვარობა სიმნიერა, ნაირგვარობა — სიმდიდრე... ოღონდ — მონესრიგებული ნაირგვარობა.

სიმდიდრეა ჩვენი მეგრული და სვანური ენები... სიმდიდრეა ჭანური, ანუ — ლაზური ენაც, ვაგლახ, სხვაგან განფენილი და ჩვენში ამჟამად მხოლოდ სარფშილა შემორჩენილი; სიმდიდრეა ჩვენი ნაირგვარი კილოები.

მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ უფრო უნდა მოანესრიგოს ამ ღვთივობიძებული სიმდიდრის არა მარტო დაცვისა და სარგოდ გამოყენების, არამედ მისადმი მართებული სახელმწიფოებრივი მიდგომის საკითხიც.

„დედა ენის“ გადასარჩენად ჩვენ ზოგჯერ

1. ნაირგვარობა-სიმდიდრე

„უფალმაო, - ბრძანებს რუსთაველი, - ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავის ფერიოთა“, ანუ უფალმა დაგვამდიდრა.

დაგვამდიდრა, საერთოდ, კაცნი, განსაკუთრებით — ქართველები. კონკრეტულად მაინც რითიო, თუ მკითხავთ, მოგახსენებთ:

საქართველო ტერიტორიულად პატარაა, ენობრივად — დიდი. მე აქ იმდენად ქართული ენის სიდიადეს არ ვგულისხმობ, რამდენადაც — ჩვენს ტერიტორიაზე მოქმედ ენათა, დიალექტთა ნაირგვარობასა და სიმრავლეს.

გვჭირდებოდა – და, იქნებ, ახლაც არ იყოს ზედმეტი — ხაზგასმა, რომ ეროვნება და „ენოვნება“ განუყოფელია (ქართველთათვის ეს ასეცაა!), მაგრამ ამის საფუძველზე სწორხაზოვანი მსჯელობით თუ იმას გამოვიყვანთ, რომ ენა უდრის ეროვნებას, მაშინ სწორედ ეროვნული თვალსაზრისით გავვიჩინებთ პრობლემები.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ „ევროპულ ქარტიაზე“, რომლის მიხედვით, ევროპულმა სახელმწიფოებმა ეროვნულ უმცირესობათა ენების უფლებები უნდა დაიცვან. ჩვენში ამ საკითხს რატომღაც დაუკავშირეს მეგრული და სვანური ენები... არადა, მეგრულ-სვანური აქ მოსატანი არ გახლავთ – არც ერთი ქართველური ენა საქართველოს ტერიტორიაზე არავითარ „უმცირესობის ენას“ არ წარმოადგენს! ქართული კუთხეებისა და ტომების ყოველი წარმომადგენელი, მათ შორის, მეგრელიცა და სვანიც, სწორედ ის „უმრავლესობა“ გახლავთ, რომელსაც „ქართველი“ ჰქვია საქართველოში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „ქარტიაში“ ლაპარაკია არა უმცირესობის, არამედ „მცირე“ ენებზე, ანუ „შინაურულ“, „შინ სახმარ“ არასახელმწიფო ენაზე, მაშინ მეგრულისა და სვანურის ამ კატეგორიის ენებზე მიჩნევისასაც ზოგი რამ გასათვალისწინებელი ჩანს, კერძოდ:

რეალობაა, რომ მეგრული და სვანური ენებია, ოღონდ – შინაურობაში სახმარი; ამავე დროს მეგრელებისა და სვანების დედა ენა იყო და არის ქართული, რომელსაც დანარჩენი სხვა ქართული ტომები ასევე ძველთაგანვე იყენებდნენ სახელმწიფო ენად; შინაურობაში კი ეს ტომებიც, ცხადია, თავ-თავიანთ დიალექტებზე უქცევდნენ.

ასე იყო ძველად, ასეა ახლაც – მიუხედავად იმისა, რომ მასმედიის ეპოქაში კილოები სალიტერატურო ენასთან ნიველირდება.

მაგრამ სვანური და მეგრულ-ჭანური, ერთი მხრივ, და სხვა ქართული დიალექტები, მეორე მხრივ, დიდად სხვაობენ თავიანთი ისტორიითაც და თავიანთი წვლილითაც ქართულის სახელმწიფო ენად ფორმირებაში. დღეს არსებული დიალექტური ფორმები, ჩვეულებრივ, ძველი სამწერლობო ქართულის ნორმათა კონტროლიდან გამოსვლისა და „თავისუფალი“ განვითარების შედეგია, აქედან გამომდინარე – შედარებით ახალი. სვანურისა და მეგრულ-ჭანურის ენობრივი ფორმები კი უშუალოდ ქართულიდან კი არა, ქართულთან საერთო წინაპარი ენიდან გამოიყვანება, რომელსაც ქართველურ ფუძეენას ვეძახით და რომლის სავარაუდო სახე ქართული, სვანური და მეგრულ-ჭანური ენების ურთიერთშედარება-შეპირისპირებით აღდგება. დიალექტები ქართული ენის შვილები არიან, სვანური და მეგრულ-ჭანური კი – ქართული ენის

ძმები. მშობლის, ქართველური ენის, იერ-სახე ზოგჯერ ქართულმა უკეთ შემოგვინახა, ზოგჯერ – სვანურმა და ზოგჯერაც – მეგრულ-ჭანურმა.

მაგალითად, ავტორიტეტული ენათმეცნიერების აზრით, ჩვენი წინარე ფუძეენის ხმოვანთა სისტემა უფრო ქართულმა შეინარჩუნა, თანხმოვანთა სისტემა კი – მეგრულ-ჭანურმა: მათი ვარაუდით, ქართული კაც და მეგრულ-ჭანური კოჩ ძირების შეპირისპირებით ქართველურ ენაში „ადამიანის“ აღმნიშვნელად აღდგება ძირი, რომელიც სამი ათასწლეულის წინ, ვიდრე ეს ფუძეენა დაიშლებოდა ქართულ, სვანურ და მეგრულ-ჭანურ ენებად, მიახლოებულად ასე ჟღერდა – კაჩ.

სწორედ ერთ-ერთს ამ ძმა-ენათაგან, ქართულს, გარკვეულ ისტორიულ-კულტურულ ვითარებათა გამო, მოუწია ძირითადი როლი ეტვირთა ქართველთა ყველა ტომისათვის საერთო სახელმწიფო ენის ფორმირებაში... ძირითადი – მაგრამ არა ერთადერთი; მისი ტვირთი მართლაც რომ ძმურად გადაინანილეს ეგროსიანელთა ენებმა: სვანურმა და მეგრულ-ჭანურმა. საერთოდაც, ლეონტი მროველს თუ ვერწმუნებით, ქართველ ტომთა ეთნარქები, ანუ მესაფუძველენი, ქართლოსი და ეგროსი, ღვიძლი ძმები იყვნენ.

ასე რომ, საერთო-ქართული სახელმწიფო ენა მარტო ძველი ქართულიდან კი არა, სვანურ-მეგრულ-ლაზური წიალიდანაც იშვა.

ამიტომაც არა ჰქონიათ ჩვენს ეგროსელ წინაპრებს ქართულის მიმართ გაუცხოების განცდა... მით უმეტეს, არა აქვთ იგი მათს დღევანდელ შთამომავლებს – სვანებსა და მეგრელებს. მაგრამ დანარჩენი საქართველოც არ უნდა უყურებდეს აღმაცერად სვანურსა და მეგრულს და არც „გაფუჭებულ“ ქართულად უნდა აღიქვამდეს ამ ენებს.

რა უნდა მოვიმოქმედოთ საამისოდ?

ადრეც დამინერია და ახლაც გავიმეორებ: სკოლაშივე უნდა შევუქმნათ ბავშვს ქართველურ ენებსა და ქართულის დიალექტებზე მართებული წარმოდგენა, უკვე დაწყებით კლასებში უნდა „გავუხედნოთ“ ყური მეგრული და სვანური ფოლკლორის ნიმუშებით: წარმოიდგინეთ ბარისახოელი პატარა ხევსური, დიდის ეშხით რომ ამბობს: „ბჟა დიდა რე ჩქიმი“ („მზე დედა არი ჩემი“)... მერე და მერე ისეთი ლექსიკური მასალაც უნდა ვუჩვენოთ და შევასწავლოთ, ქართულ-სვანურ-მეგრულის საერთო წარმომავლობასა და ერთიანობაზე რომ მეტყველებს.

მოკლედ, ბავშვს სკოლაშივე უნდა გავაცნოთ და შევასწავლოთ სვანურისა და მეგრულის ელემენტები.

წურავინ დამწამებს ენობრივი სეპარატიზმის

ქადაგებას: სკოლაში სვანურისა და მეგრულის ელემენტების სწავლება სხვა და სვანურად და მეგრულად სწავლება სკოლაში – სულ სხვა, “შუა უზის დიდი მზღვარი”.

ისე, რუსეთის იმპერიამ, ცარისტულმაც და კომუნისტურმაც, ქართველთა გარუსების სტრატეგიულ გეგმას ლეღვის ფოთლად მეგრულ გლეხკაცზე “ზრუნვა” ააფარა: აქაოდა, უბირ ხალხს ქართული არ ესმის, სამეგრელოში სწავლება მეგრულ ენაზე უნდა გადავიყვანოთო.

პირველ ჯერზე, XIX საუკუნეში, ეს არ გამოუვიდათ – იაკობი და ძმანი მისნი აღუდგნენ წინ იანოვსკი-ვოსტორგოვის მზაკვრულ გეგმას.

მეორე ჯერზე, XX საუკუნის ოცდაათიან წლებში, „კომუნისტ - მაფალუისტებს“ სამეგრელოს მხარიდან გამოსულმა ინტელიგენციამ ჩააკმედინა ხმა: თედო სახოკიამ, შალვა დადიანმა, კონსტანტინე გამსახურდიამ...

იმპერია ქართულ ენას მარტო სკოლიდან კი არა – ეკლესიიდანაც უპირებდა გამოძევებას: მისი გეგმით, სამეგრელოში ღვთისმსახურების ენად ქართულს მეგრული უნდა ჩანაცვლებოდა. აქ კი ხმა სამეგრელოს სამღვდელოებამ აღიმალლა და მერე როგორ!

ოთხმოციანი წლების დასაწყისში ბატონმა არნოლდ ჩიქობავამ, უკვე ლოგინად ჩავარდნილმა, თავის ბიბლიოთეკაში საგულდაგულოდ გადანახული მასალა მომაძებნინა – შინ წაიღეთ, წაიკითხეთ და დამიბრუნეთო. XIX საუკუნის გაყვითლებული ფოლიანტები აღმოჩნდა – 1895 წლის მარტ-ივნისის ნომრები ეგზარქატის რუსულენოვანი გამოცემისა. ეგზარქოსს დაუვალებია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის მეუფე გრიგოლისათვის (ერისკაცობაში – გრიგოლ დადიანი) კომპეტენტური კომისიისათვის გაეცნო მეგრულ ენაზე თარგმნილი რამდენიმე ნიმუში ლოცვებისა და გაერკვია, როგორ ზემოქმედებას მოახდენდა მრევლზე მღვდელმსახურების დროს მათი გამოყენება.

გრიგოლს მოუნვევია კომისია – სამეგრელოს სამღვდელოება, აგრეთვე განსწავლული საერო პირები ნიკო ტარიელის ძე და დავით გიორგის ძე დადიანები – და მოუსმენია მათი მოსაზრებანი...

წანაკითხმა გამოგნა: „რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი“-ო, სამეგრელოს სამღვდელოებაზე აღმოჩნდა ზედგამოჭრილი. ასეთი სიღრმითა და სიმართლით ამ საკითხზე დაწერილი არაფერი წამეკითხა... არ ვაჭარბებ, წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც დღეს დაწერილი გეგონებოდათ – აღარაფერს ვამბობ მოქალაქეობრივ პოზიციასზე. ცხადია, მეგრული ენის დიალექტად მიჩნევამ მაშინვე შემაცბუნა, მაგრამ

მერე მივხვდი, რომ ამასაც სარჩულად სასულიერო პირთა პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა სდებია. ისე, სიტყვამ მოიტანა და, თავის ნაშრომებში არც პავლე ინგოროყვა მოიხსენიებდა მეგრულსა და სვანურს ენებად – ამ დიდ ეროვნულ კაცს, ჩვენი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ეს პოლიტიკურად სახიფათოდ მიაჩნდა.

თუმცა, სჯობს თავად შენ დაიგემოვნო, მკითხველო, ეს მასალა, რომელსაც იმ პიროვნების ხოტბას წარვუმძღვარებ, ვისი „გორისანიც“ სამეგრელოს ეს უსახელო მღვდლები იყვნენ.

2. ქუჯი და მისი „გორისანი“.

უძალო კაცს რომ პოლიტიკურ პირველობას დაათმობინებენ, ეს იძულების აქტია.

ძალმოსილი კაცი რომ თვითონ დათმობს პირველობას – ეს ზნეობრივი აქტი გახლავთ.

ქუჯიმ, ეგრისის ერისმთავარმა, ამგვარი ზნეობრივი, მე ვიტყვოდი, ქრისტიანული ქმედების მაგალითი გვიჩვენა ქრისტეს მოვლინებამდე სამსაუკუნენახევრის წინ.

როცა ფარნავაზი, ქართლოსის ჩამომავალი, და ქუჯი, ეგროსის ჩამომავალი, შეითქვენ აზონის, ბერძენთა დასმული მმართველის წინააღმდეგ, იმ მომენტში რეალურ სამხედრო-პოლიტიკურ ძალას ქუჯი, თუ მეტს არა, ფარნავაზზე ნაკლებს არ ფლობდა.

მაგრამ ქუჯი ათასწლეულებით აზროვნებდა და არა – მომენტებით ან, თუნდაც, წლებით: გარდასული ჟამით იგი მომავალს ჭვრეტდა... აკი ქართლოსი უფროსი ძმა იყო ეგროსისა. არ ეგებოდა მისი პირველობა და ასე შესთავაზა ქუჯიმ ფარნავაზს, მცხეთის სახელისუფლო სახლის შვილს: ვძლიოთ აზონს და მთელ ქართველთა მოდგმას შენ უმეფებ, მე კი შენს თანამდგომად მიგულე ან და მარადისო.

ხელმწიფობაზე უარის თქმა მხოლოდ სახელმწიფო კაცს შეუძლია.

ასე აზროვნებდა და მოქმედებდა დიდი ქუჯი...

ანუ — ასეთია ქუჯური მენტალიტეტი.

სწორედ ამ ქუჯურ მენტალიტეტზე გვმართებს ქართველობას ორიენტირება და არა ქუჩურ მენტალიტეტზე.

მაგრამ საქართველოს მარტო ქუჯი არ ჰყოლია – ჰყავდა თადა აშორდიაც, ვისაც უმაღლესი ხელისუფლება თვალს უხუჭავდა ყალბისმქნელობაზე, ანგარებაზე, აფერისტობაზე... ამას, ყველაფერს, მთავრობა წვრილმანად მიიჩნევდა იმ მსხვილი შეკვეთის შესრულებასთან შედარებით, რასაც ერქვა “ტუხემცების” ხელითვე ქართული “ენოვნებისათვის” საფუძვლის შერყევა, ქართველთა გარუსება.

ქუჯი უკვდავია – მას კვალში ლეგიონები უდგანან... მაგრამ, ვაი, რომ უკვდავია თადაც: ლეგიონები – არა, მაგრამ თითო-ოროლა აშორდია საქართველოს ყოველთვის ჰყავდა... და – დღესაცა ჰყავს: საზოგადოება ხედავს, რომ ჩოხოსან თადას ჰალსტუხიანი აშორდები შეენაცვლენ და “გრუს” პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებენ.

დღევანდელ პრესაში მკითხველს უფრო ისინი ეჩხირებიან თვალში, ვიდრე ქუჯის „გორისანი“, ამიტომაც გთავაზობთ ზემოხსენებული პუბლიკაციიდან გამოკრებილ გამონათქვამებს ქუჯის კვალში ჩამდგარი სასულიერო პირებისას.

სამეგრელოში ღვთისმსახურების ენის შესახებ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი (დადიანი):

— კავკასიის სასწავლო ოლქის ზედამხედველი საიდუმლო მრჩეველი იანოვსკი სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის მეგრულით ჩანაცვლებას ასე ასაბუთებდა: მეგრული ქართულთან ისეთსავე მიმართებაშია, როგორც – პოლონური ან ჩეხური რუსულ ენასთან, მათ კი სწავლებაც და ღვთისმსახურებაც თავ-თავიანთ ენებზე აქვთ. ეს მეუფე გრიგოლს მცდარ ანალოგიად მიაჩნია.

“სლავური ჯგუფის ეს სამი მონათესავე ენა საუკუნეთა მანძილზე დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა სამწერლობო ენებად და ამ ენებზე შექმნილი ლიტერატურით გამოხატავენ თავ-თავიანთ ეროვნულ თვითშეგნებას. განსხვავებული ვითარებაა ქართულსა და მეგრულს შორის: აქ ჩვენ გვაქვს მკაფიოდ გამოხატული დაქვემდებარება, სლავურ ენებში კი – სრულიად დამოუკიდებელი პარალელური განვითარება. უსამართლობა იქნებოდა ვინმემ ამ საკითხებში არაკომპეტენტურობა დამწამოს, ძირძველი მეგრული გახლავართ და ქართულიცა და მეგრულიც კარგად ვიცი: მეგრელები უკვე 15 საუკუნეა ქართულ ენაზე ლოცულობენ და ევედრებიან უფალს; მე, როგორც მათი მღვდელმთავარი, ვადასტურებ, რომ ისინი კარგი ქრისტიანები არიან და სათანადოდ შეიმეცნებენ საღმრთო გამოცხადებას. მეგრელებმა სხვა ქართველებთან თანადროულად დაიწყეს ქართულად წერა-კითხვა და, ქართული საეკლესიო ტრადიციით, მათ, იმიერქართველებმა, ამიერქართველებზე ადრეც კი განადიდეს ქართულ ენაზე ჭეშმარიტი შემოქმედი”.

მღვდელი კაპიტონ განერელია:

— „წმინდა წერილისა და ლოცვათა თარგმნა – ეს წმიდათაწმიდა საქმე – მოითხოვს ღვთაებრივ ზემთაგონებას ზემოდან, უფლისაგან... სწორედ ასეთ მოწოდებას აღასრულებდნენ ძველად წმინდა წიგნების მთარგმნელები, ამიტომაც შემოგვრჩა მათი ტექსტი შეურყვნელად ჩვენცა

და სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებსაც... გარდა ამისა, მარტო ლიტერატურული ტრადიციებიც კი საკმარისი ვერ იქნება საღვთისმსახურო წიგნების სათარგმნად – თვითონ ენას უნდა ახასიათებდეს ეგრეთ წოდებული „ეკლესიურობა“. მეგრული, გასაგები მიზეზების გამო, ყოველივე ამას მოკლებულია.

არც წინათ და არც ახლა მეგრულად მღვდელმსახურების აღსრულება არ გვჭირდება, ვინაიდან ქართული და მეგრული ფაქტობრივად ერთი ენაა და მათს ლექსიკონებში უამრავი საერთო ძირის მქონე სიტყვებია. მეგრულს წირვა-ლოცვის ტრადიციული ენა კარგად ესმის და, თუ აქ გაგებინების თვალსაზრისით რაიმე სირთულე იჩენს თავს, ამის მიზეზი ის კი არ გახლავთ, რომ მეგრულს ქართული ცუდად ესმოდეს, — საეკლესიო ტექსტებს ასევე ძნელად აღიქვამს არამეგრელი სხვა ქართველობაც, მათ შორის, განათლებული ხალხიც, — თავიდათავი პრობლემისა ამ საეკლესიო ენის არქაულობაშია... აგრეთვე – ღვთისმსახურების დროს წმინდა ტექსტის სწრაფად ჩათავება-„მიუფრჩევების“ სამწუხარო ტრადიციები... ამიტომაც, ეს საკითხი ქართული მოსახლეობის – მეგრელებისაც და არამეგრელებისაც – ცოდნა-განათლების ამაღლებით გადაიჭრება და არა – ღვთისმსახურებისთვის მეგრული კილოს გამოყენებით. სხვა ხალხებსაც აქვს განსხვავებული დიალექტები, მაგრამ საღვთისმსახუროდ ყველას როდი იყენებენ: მაგალითად, მალაოროსიული არანაკლებ განსხვავდება რუსული ენისგან, ვიდრე მეგრული ქართულისგან, მაგრამ მღვდელმსახურება მალაოროსიულად კი არ აღსრულება, არამედ საეკლესიო-სლავურ ენაზე... მეგრელებს არასოდეს გვქონია დამწერლობა მეგრულ ენაზე იმიტომ, რომ ამის საჭიროება არ ყოფილა: სამეგრელოს ხალხს ქართული დამწერლობაცა და ქართული ენაც თავის ღვიძლ ანბანად და თავის დედა ენად მიაჩნია და ამავე ენაზე აღავლენდა და აღავლენს უფლისადმი ხოცბას”.

მღვდელი კლიმენტი ჭანტურია:

— „ქართულს და მეგრულს იმდენი რამ აქვთ საერთო, რომ მეგრული ქართულს თავის დედა ენად (ჰჯლყჯქ ზჰსრ) მიიჩნევს. მეგრული ენა ქართული ენის საგანძურად ითვლება: ბევრმა სიტყვამ ქართულში დაკარგა თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა, მეგრულში კი ისინი ძველებურად შეურყვნელი სახით შემოგვრჩნენ. ამრიგად, მეგრული და ქართული ორ განუყრელ ძმად გვესახება. ეს განცდა მარადიულია, დანარჩენ საქართველოსთან თავის ენობრივ ერთობას სამეგრელო ყოველთვის გრძნობდა, ქართულს ყოველთვის დედა ენად თვლიდა, მას მიიჩნევდა

სახელმწიფო ენად, მიიჩნევა მწერლობის ენად – ამ ენაზე ლაპარაკობდნენ და წერდნენ მეგრულთა წინაპრებიც... მეგრელები ქართულად განადიდებდნენ უფალს; ამ ენაზე ლოცულობდნენ მათი მამა-პაპანი. შესაბამისად, სამეგრელო ქართულად მოლაპარაკე დაიბადა და ღვთის წინაშეც ამ ენაზე მოლაპარაკე წარსდგება...

საკუთარი გამოცდილებიდან მოგახსენებთ: ერთხელ მეც ვცადა ეკლესიაში მეგრულად მექადაგა. მრევლმა მომთხოვა, ისევ ქართულად იქადაგეთ, თორემ ეკლესიაში აღარ ვივლითო. ასეთი შემთხვევაც ყოფილა – სახარების რამდენიმე ადგილი მეგრულად თარგმნეს და, როცა ეკლესიაში წაიკითხეს, აღშფოთებულმა მრევლმა წყევლა-კრულვით დატოვა საყდარი... ევროპაშიც არის ქვეყნები, სადაც ორი ენაა: ერთი – სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმსახურო, მეორე – შინაურობაში სახმარი, რომელსაც დამწერლობა არა აქვს. იქ აზრადაც არ მოსვლიათ, შინაურული ენა საღვთისმეტყველოდ ექციათ და რაღა ჩვენ, მეგრელებს, გვახვევენ თავს ლოცვისათვის ამ ჩვენს შინაურულ ენას?..

მღვდელი ნესტორ ალშიბაია

— „ხალხი არ თანაუგრძნობს ლოცვათა გადმოთარგმნას ქართულიდან მეგრულად; იგი ოდითგან მოწინებით უყურებს ქართულ საეკლესიო ენას, როგორც ამაღლებულსა და საღვთოს. საეკლესიო-ქართული ღვთაებრივი დიდებულების ნიშანს ატარებს და, თუ ლოცვათა სიტყვებს მეგრულად ვთარგმნით, კურობოზულ-სამასხარაო ეფექტს მივიღებთ. მეგრულს ჩვენ ვთვლით ჩვენს შინაურ, ოჯახში სახმარ ენად, რომელიც გამოუსადეგარია საღვთისმსახუროდ. უბირ ხალხშიც კი თავმოსაჭრელია უცოდინრობა ქართულის, როგორც ღვთისმსახურების ენისა, რომელსაც მეგრელი უხსოვარი დროიდან მოწინებით ეთაყვანება; ასე რომ, ღვთისმსახურების დროს ქართულად აღვლენილ ყველა ლოცვას უბრალო ხალხი ჩინებულად გებულობს“.

თავადი დავით გიორგის ძე დადიანი:

მეგრულად ნათარგმნი ლოცვების დეტალური ანალიზის შემდეგ, ამ უაზრო და მავნებლური წამონყების აღსაკვეთად დავით დადიანი რიტორიკული გზნებით შესთხოვს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს:

„ყოვლადმოწყალე მწყემსმთავარო, მართლმადიდებელი კოლხიდელების, ახლანდელი მეგრელების, თვალში რათა ფეხქვეშ არ გაითელოს უწმინდესი რელიგია იესო ქრისტესი, ძისა ღვთისა, მაცხოვრისა ჩვენისა, და ამით მისი ხალხი არ მოვექცეთ დაუშრეტელი გეჰენის კირთების ქვეშე, გვედრებით, ბრძანოთ – შორს ჩვენგან

ამგვარი სულისწამნყმედი წამონყება, და ჩვენ, სულიერად მუხლმოყრილნი თქვენ წინაშე, ერთხმად დაგიდასტურებთ – ამინ!“

მართლაც, ამინ, ანუ – ჭეშმარიტად!

როგორც ვნახეთ, ჩვენმა წინაპრებმა უპატრონეს ჩვენს სახელმწიფო ენას, ახლა ჯერი ჩვენზეა. მარტო სალიტერატურო ქართულს კი არა, ასევე უნდა მოვუაროთ და ველოლიაოთ სხვა ქართველურ ენებსა და ქართულის დიალექტებს... ველოლიაოთ და არა – ვალადაოთ: კაცს ხომ თავისი მეტყველების გამასხარავება უფრო სწყინს, ვიდრე – თავისი გარეგნობისა!

ცხადია, საჯარო გამოსვლისას ადამიანი უნდა ცდილობდეს სალიტერატურო ქართულით ილაპარაკოს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ბუნებრივი მეტყველება: ბუნებრიობასა და უშუალობას კი ხშირად სწორედ კილოური ფორმები ანიჭებს მეტყველებას. სხვათა შორის, ზომიერად და გემოვნებით გამოყენებული ეს დიალექტიზმები თვით კლასიკოსთა ნაწერებსაც თავისებურ კოლორიტსა სძენს. საერთოდაც, დიალექტიზმების გარეშე ლიტერატურა თავის ფერ-ხორცს დაკარგავდა. თუ წარმოგიდგენია, მკითხველო, სალიტერატურო ქართულით მეტყველი ლელთ ღუნია ან კირილე მიმინაშვილი? მეტყვიით, ესენი ხომ პერსონაჟები არიანო. აგრეა, მაგრამ ვერ დამისახელებთ ვერც ერთ დიდ მწერალს, რომელიც ავტორისეულ მეტყველებაშიც არ იყენებდეს დიალექტიზმებს... მეტ-ნაკლებად, ცხადია.

მეტყველების შეფასებისას გადამწყვეტია, რას ამბობს კაცი... არანაკლებ – როგორ ამბობს... და კიდევ უფრო მეტად – ვინ ამბობს.

როცა ვაჟა „ყვავილის“ ნაცვლად, „ყოილიო“, იტყვის, ან „მოვიდას“ ნაცვლად – „მოიდას“, ამას, ყველაფერს, თავისი ემოციური დატვირთვა ახლავს.

სხვათა შორის, არა მხოლოდ პოეტურ ტექსტში და – არა მხოლოდ ვაჟას მიერ ამოთქმულს.

3. ფეხშიშველა

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე – რაა მამული?!“

გალაკტიონი

რასაც ახლა გეტყვით, ვიცი, რომ მარტო ჩემეული განცდა და აღქმა არ გახლავთ იმ მოვლენისა, რასაც ილია მეორე ჰქვია.

მოვლენა-მეთქი, არც წამცდენია და არც ენობრივ ალღოს უღალატია, ამჯერად, ჩემთვის: პატრიარქი თავისი დიდი მოსახელის ილია-მართლის დარად ხორციელი კაციდან მოვლენად იქცა. მისგან იღვრება ის, რაც ერთ სიტყვად ძნელად

ენის მესაიდუმლე

გამოითქმის — სიმშვიდეც, სათნოებაც, სითბოც, ძალაც... მოკლედ, იღვრება და ჩვენზე გადმოდის მაღლი, თანაც — ცხადლივ, ლამის ხელშესახებად.

ამის ერთ-ერთი მიზეზი, იქნებ, პატრიარქის მეტყველებაც იყოს — დარბაისლური, სულიერებით გაჯერებული, სადა, ამაღლებული და... თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან, ჩვენი მთის კილოების არაჩვეულებრივი სურნელით შენელებული. როცა პირად საუბარში პატრიარქი — „მოიდაო“ — ვაჟასებურად მოუქცევს, ლამის გული ამომიბრუნდეს: თითქოსდა რაღაც უცნაური თბილ-ტკბილი ნათელი „მოიდა“ და ჩამელვარა სულში.

მარტო ადამიანები როდი ვგრძნობთ ამ მაღლს: მახსოვს, დიდი ხნის წინათ, მარტყოფში მიმიპატიჟა, თავის რეზიდენციაში. ვეახელი, ვსაუბრობთ... განვინმინდე, გავმსუბუქედი, გავთავისუფლდი, ავმალლდი... მოკლედ, ის დამემართა, რაც ყოველ თქვენგანს მოსდის მასთან საუბრისას.

მორჩილი შემოვიდა და მორიდებულად რაღაც უჩურჩულა.

— ჯოყოლა? — გაიკვირვა პატრიარქმა, — ახლავე შემომიყვანე!

ვინმე მონატრებული მოხევე თუ არის-მეთქი თავისი მშობლიური კუთხიდან, გავიფიქრე და — დარბაზში უზარმაზარი მეცხვარის ძალი მოვარდა ისეთი ღოჯებით, რელსს რომ გადალრღნიდა.

— ჯოყოლა მოიდა, ჩემი ჯოყოლა, — მიეაღერსა პატრიარქი, მაგრამ ალერსი და გადარევა თქვენ

ნაგაზისა უნდა გენახათ: შეჰღმუთუნა, მიეფოფინა, ხელები აულოკა — მომეჩვენა, ხელზე ემთხვამეთქი. თურმე ლეკვი ყოფილა, როცა მოუპარავთ და ახლა, ერთი წლის თავზე, დააბრუნეს. გაიხარა პატრიარქმა, გავიხარეთ ყველამ, მაგრამ ჩვენი სიხარული რა მოსატანია ჯოყოლას სიხარულთან, რომელმაც უტყუარი ძალღური გემით იგუმანა, რომ ღვთისკაცს დაუბრუნდა.

პატრიარქმა მერე გომურები მანახა, სადაც დარჩეული საქონელი ეყენა... ელაპარაკა, ეაღერსა მათაც...

...დროთა სამანი თითქოს მომერღვა და ცხადლივ დავინახე, გერგეტის სამებისაკენ მიმავალმა, როგორ გაიხადა ფეხზე და ანაფორიანმა გატოპა სნოსწყალი... და ყოველი კენჭი, ყოველი შხეფი — ირაკლი, ირაკლიო, — შესწრიალებდა პატრიარქს.

ვიხილე, პალესტინის გაუსაძლის ხვატში როგორ შეუდგა ოთხიათასსაფეხურიან ქვის გავარვარებულ კიბეს სინას მთის წმინდა მწვერვალისაკენ პატრიარქი უხამლოდ, ფეხშიშველა...

და მე მივხვდი, რომ ეს კაცი — თუნდაც ფეხშემოსილი — მაინც მარადიულად ფეხშიშველაა და მისი მზირალი ტერფები მუდამ ხედავენ და გრძნობენ იმ სიმძიმეს, რასაც მიწა ჰქვია...

რასაც — მამული ჰქვია...

რასაც — დედამიწა ჰქვია...

სიმძიმე იგი ამ კაცს მაღლა ეზიდება — ცისაკენ!

შეცდომების გასწორება

2016 წლის „სამეგრელო“ N3 (51) — გივი სიხარულიძის ნოველები (გვ.24, 25, 26) „სიცოცხლის მოწმობა“ და „მეყვავილე ავთო“ შეცდომით დაიბეჭდა.

სიცოცხლის მოწმობა

24 გვ. „მთელი ცხოვრება მაღიზიანებდა სხვადასხვა დანესებულებათა დირექტორების დამძიმებული, ათასგვარი მაკიაჟით გასხივოსნებული მეტიჩარა მდივნების შეხვედრა“ — უნდა იყოს; „მთელი ცხოვრება მაღიზიანებდა სხვადასხვა დანესებულებათა დირექტორების მოკლექაბიანი, ათასგვარი მაკიაჟით გასხივოსნებული მეტიჩარა მდივნების შეხედვა“...

გვ. 25 „ბიჭი, ცოტა დაბნეული, მაგრამ აშკარად ბედნიერად გრძნობდა თავს, — უნდა იყოს; „ბიჭი ცოტა დაბნეული, მაგრამ აშკარად ბედნიერი ჩემს გვერდით ნამოსკუპებულიყო“.

მეყვავილე ავთო

გვ. 26 „ავთო მონინებით დაიხარა, მიწა მოუჩიჩქნა, მერე ფურცლებს ერთი შავი ვარდის წინ ფაქიზად შეეხო... — უნდა იყოს; ავთო მონინებით დაიხარა ერთი შავი ვარდის წინ, მიწა მოუჩიჩქნა, მერე ფურცლებს ფაქიზად შეეხო“...

გვ.26 „ოთხი თვეც არ იყო გასული იმ დღიდან, რაც ავთოს ბაღში ვარდების აღსარების უნებური მოწმე გავხდი, — უნდა იყოს; უნებური მოწმე გავხდი ვარდების ბაღში ავთოს აღსარებისა“...

რედაქცია გოღიშს უხდის მწერალს, გატონ გივი სიხარულიძეს უნებურად დაშვებული შეცდომების გამო.



„დედა ენა“ — ქართული სულის საჰანა

1990 წლიდან 14 აპრილი საქართველოში „დედაენის“ დღედ აღინიშნება, რასაც 1978 წლის 14 აპრილის ცნობილი მოვლენები დაედო საფუძვლად — საქართველოს მოსახლეობამ სწორედ ამ დღეს გააპროტესტა ცენტრალური კომიტეტის გადანყვეტილება საქართველოში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების შესახებ. საპროტესტო აქციებმა მოიცვა საქართველო, ათიათასობით ადამიანი ხელისუფლებისაგან ქართული ენის სახელმწიფო ენად დაკანონებას ითხოვდა. პროტესტმა შედეგი გამოიღო და მაშინდელი კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სსრ-ს სახელმწიფო ენად ქართული ენა გამოცხადდა. ასე მოვიპოვეთ 14 აპრილი და დავამკვიდრეთ „დედაენის“ დღეც.

მანამდე კი, ქართველთა გენიალურ პალინდრომზე — „აი ია“-ზე იაკობ გოგებაშვილმა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით იბრუნა — პირველი საყმანვილო სახელმძღვანელოს მორალური, ზნეობრივი და პატრიოტული კრიტერიუმები დიდხანს არჩია. მის პირად არქივში დაცულია მასალა, რომელიც „დედა ენაზე“ მუშაობის პროცესს ასახავს — როგორ აზუსტებდა, ხვეწდა თითოეულ ნიუანსს, მეთოდს, ხერხს, სიტყვას მარტივიდან რთულისაკენ, როგორ ცდილობდა, რაც შეიძლება სახალისო ყოფილიყო ყმანვილთათვის მის მიერ შეთავაზებული მოთხრობა, თუ ლექსი. „ჩვენი ანბანი იმგვარ სისტემაზე არის აგებული, რომ კარგად ცნობილი საგნების სურათების საშუალებით ადვილად სწავლობენ უცნობ ასოებს და ასეთ სისტემას ის ღირსება აქვს, რომ არამც თუ დიდი, პატარაც კი შეიძლება უმასწავლებლოდ

შეითვისოს წიგნის ცოდნა, ამას სხვათაშორის მოწმობენ კორესპონდენტები სტამბულიდან, რომლებიც გვატყობინებენ, რომ „დედა ენა“ ძლიერ უადვილებთ ყველას თვითონ, სხვების დაუხმარებლად, ისწავლონ წერა-კითხვა“ — წერდა იაკობ გოგებაშვილი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის ფონდში დაცული უნიკალური მასალა — „დედა ენის“ გამოცემების სრული სპექტრი — 13 აპრილს ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში





ვარიანი.
აქ დაიბადა იაკობ გოგებაშვილი

გამოიფინა და შთამბეჭდავმა ექსპოზიციამ, თითოეული სტენდით, რომელიც გამოცემებს ეკავა, „დედა ენის“ თითო საფეხურის, მისი განვითარებისა და ცვლილების შესახებ ქრონოლოგიურად მოგვითხრო.

ყოველ გამოცემას, გარდა იმისა, რომ ის თარიღითაა მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული ისტორია აქვს — პირველი „დედა ენა“ გოგებაშვილის ნაქონია და მისივე ხელითაა ჩასწორებული-რედაქტირებული, მერვე გამოცემა (გადაშლილია მისივე ხელით და მეცხრე გამოცემა ანერია) — პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი; ამ წიგნის შესწორებები და ჩანაწერები იაკობ გოგებაშვილის ხელითაა ჩანერილი. „დედა ენის“ შექმნამდე ოცი წლით ადრე კი, 1865 წელს, იაკობ გოგებაშვილმა შეადგინა „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“. ქართულ ანბანს მხოლოდ ინიციალები ანერია — ი. გ. ეს იყო პირველი მცდელობა, პირველი ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი ქართველ ყმაწვილთათვის; ამის შემდეგ, პირველად, „დედა ენა“ 1976 წელს გამოიცა. გამოფენაზე ეს გამოცემა წამოდგენილი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კუთვნილი ეგზემპლარით. ეს წიგნი იმითაც არის ფასდაუდებელი, რომ დიმიტრი ყიფიანის ნაქონია.

შემდგომი გამოცემები — 1878 -1892 წლები — გამოირჩევა პირველი ქართული გრაფიურებით, რომლებიც გრიგოლ ტატიშვილის მიერაა შესრულებული.

1900-იან წლებში გამოცემული წიგნები უკვე მინაწერებით ჩნდება: „სკოლებში სახმარებელი“. მეცხრამეტე გამოცემაზე ნაიკითხავთ წარწერას: 314, 000 (სავარაუდოდ, წიგნის ტირაჟია), სამას სამოცი სურათით, წიგნი სახელგაკეთებულია განათლების სამინისტროსგან და მოწონებულია უწმინდესის სინოდისაგან. 1912 წლის გამოცემა რიგით ოცდამეცამეტეა, მისი განახლებული ვარიანტი ახლახან გამოიცა.

შემდეგი სტენდი უკვე საბჭოთა პერიოდის „დედა ენის“ გამოცემებს ეთმობა — 1940 წლიდან 1952 წლამდე. თვალშისაცემია ბელადების სურათები. თუ ამ პერიოდამდე გამოცემულ „დედა ენაში“ აქცენტები მხოლოდ ენაზე და სხვა საკითხებზეა გაკეთებული, აქ წიგნი უკვე იდეოლოგიზირებულია პოლიტიკურად. ბუნებრივია,

იდეოლოგიზირება წინანდელ გამოცემებშიც იქნებოდა, თუმცა, სხვა კუთხით. 1944 წლის გამოცემის სატიტულო ყდაზე ჩნდება სტალინის სურათი. იმავე სტენდზე იშვიათი გამოცემა — „დედა ენის“ ერთ-ერთ გვერდზე ლავრენტი ბერიას სურათია განთავსებული და ლექსიცაა მიძღვნილი. ეს გამოცემა იშვიათია იმით, რომ ბერიას ფოტოა შემონახული. იმ პერიოდის გამოცემებს თვალს თუ გადავაგვლებთ, მისი სურათები თითქმის ყველგან ამოხეულია. თავდაპირველი გამოცემები, მსგავსი თემატიკისგან თავისუფალია, მაგრამ ისევე, როგორც ყველა და ყველაფერი, საბჭოთა იდეოლოგიისგან ვერც „დედა ენა“ იხსნიდა თავს და ამიტომაც, ამ პერიოდის გამოცემებში უხვად ჩანს საბჭოთა ისტორიის ანარეკლი.

საინტერესოა, ოსმან ტამბრულის მიერ ქართულ ენაზე (ძველი ქართულით) შედგენილი გამოცემა — „ნანანენა“, რომელიც 1891 წლით თარიღდება, ასევე, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი „დედა ენა“ და ჯიბის „დედაენები“.

ექსპოზიციანზე წარმოდგენილი იყო პლაკატები, რომლებიც იაკობ გოგებაშვილსა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უკავშირდება: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებლების პლაკატი, 1879 წელი, რომელიც წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მიერ დაიბეჭდა; იაკობ გოგებაშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პლაკატი; საინტერესოაა მოთხრობილი ქართული კომიქსებით „იავნანამ რა ჰქნა?!“.

„ღეღა ენის“ მნიშვნელობას კიდევ უფრო
თვალსაჩინოს ხდის ქართველ მოღვაწეთა
გამონათქვამები:

„ერთხელ დაბარებული ქართველი კაცი მეორედ მაშინ
იბარება, როცა იაკობ გოგებაშვილის „ღეღა ენას“
სელში პირველად, აიღებს. გაშლის და, თითქოს ისევ
დაიბარაო, ამ სამშუოს ყველ სხვაგვარად ხომ დაინახავს,
სხვანაირად გაიანზღებს. ჰოდა, იმ დღეს რა დაგვაზინებენ,
ამ ყპინველესი წიგნის ყდაზე ამოქართველი ბუბულის
სწვენა როცა ერთბაშად გავიგონეთ და შიშით, ან
გავიგონებდნენო, სელი მაშინვე დაუბარეთ. მისი ცკბილი
სწვენა-ჭიჭიკი, რომით რომეში გაკიდებულ ნახი ქვითინი,
განა, მას აქეთ ან გვესმის ხოლმე?“

ღეღა შენგელაია

„იაკობ გოგებაშვილი ღიღინია, რომ
ქართველმა სელმა სიქოქსელშივე
ძველი დაგვას.“

აკაკი

„ღეღა ენა“ და „ბუნების ჯანი“ სახელმძ-
ღვანელოები ერთ ანა, ყდოდესი პოემებია.
მე თანახმა ვიქნები, გამოვიღეს უხალ ეს
წიგნები, ანა როგორც სახელმძღვანელო,
ანამედრ საკითხავ წიგნად.“

გვალკვილიანი

„ამ წიგნის მეოხებით ქართველობა
ერთის ქართული ენით ინყებს წვერა-
კითხვას, სწავლებას და რამანას.
ყველგან ამ წიგნის მეოხებით ქართული
ენა უთვინება.“

ხაქარია ჭიჭინაძე

მარიამ ჭყონია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურის პროგრამების განყოფილების უფროსი სპეციალისტი: „13-14 აპრილს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, „დედა ენის“ დღეს გამოფენა მიუძღვნენ, ასევე, სკოლის მოსწავლეებისათვის ნანა ჯანელიძის ფილმს „იავნანამ რა ჰქმნა?!“ ჩვენება გავმართეთ. დასრულების შემდეგ კი, საბავშვო მწერლებმა — ირმა მალაციძემ და მარიამ ნიკლაურმა ფილმის განხილვა მოაწყვეს.

რაც შეეხება გამოფენას, მართლაც ძალიან საინტერესოა. საზოგადოებას შევთავაზეთ „დედა ენის“ უნიკალური გამოცემები, რომლებიც ჩვენს ბიბლიოთეკაშია დაცული. „დედა ენის“ გამოცემების ყველაზე სრული კოლექცია სწორედ ჩვენს ბიბლიოთეკაში ინახება, ასევე, დაცულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არქივი, მათი წევრების ბიბლიოთეკები, იაკობის ნაქონი კარადა მისივე ბიბლიოთეკით და სხვ.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია 1876 წელს გამოცემული პირველი „დედა ენა“ და ქართული ანბანი, რომელიც მის გამოცემას წინ უსწრებდა, დათარიღებულია 1865 წლით. 1877 წლის „დედა ენა“ იმითაც უნიკალურია, რომ გოგებაშვილის ხელითაა ჩასწორებული. ერთ-ერთი იშვიათი ექსპონატი 1872 წლითაა დათარიღებული — „დარიგება მასწავლებელთათვის“, ნიგნი პედაგოგებისთვის, როგორ ასწავლონ „დედა ენა“. გამოიფინა, ასევე, 1912 წელს, გოგებაშვილის სიცოცხლეში გამოცემული ბოლო „დედა ენაც“ და საერთოდ, ყველა გამოცემა, რაც კი მის სიცოცხლეში დაბეჭდილია. დამთვალეირებლისთვის სიახლე იქნება, ალბათ, ვალერიან რამიშვილის მიერ გამოცემული დედა ენა, რომელიც უსინათლო ბავშვებისთვის ბრაილის შრიფტით დაბეჭდილია.

ექსპოზიცია უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდა ჩვენს ფონდებში დაცულმა პლაკატებმა და ამონარიდებმა ჟურნალ-გაზეთებიდან — რას წერენ „დედა ენის“ შესახებ ქართველი საზოგადო მოღვაწეები და მწერლები. გამოფენა გათვლილია სკოლის მოსწავლეებზე და ყველა იმ ადამიანზე, ვისთანაც ყველაზე ახლოსაა „დედა ენა“. ამ ექსპოზიციით დამთვალეირებელს შეუძლია თვალი მიადევნოს ყველა საფეხურს — როგორ ვითარდებოდა და იცვლებოდა გოგებაშვილის უკვდავი ქმნილება.“

ნიგნი, რომელიც დღემდე ვერაფერმა ჩაანაცვლა, ავტორის სიცოცხლეში, 1912 წლამდე, 33-ჯერ გამოიცა. იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი გამოცემა სპეციალურ კომისიას მიენდო, რომელსაც ლ. ბოცვაძე

ხელმძღვანელობდა. 1876-1925 წლებში „დედა ენა“ 45-ჯერ გამოიცა. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ დღემდე ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების მთავარ ფესვად რჩება, რაც, ბუნებრივია, მხოლოდ ამ ნიგნის სიყვარულით არ არის გამოწვეული. ილიაც ხომ „დედა ენას“ უდიდეს მნიშვნელობას იმიტომ ანიჭებდა, რომ მიაჩნდა: „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანმოუხედავად ვთხოვლობთ დედაენისათვის რთულსა და დამოუკიდებელ გზას სასწავლებელში, ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის, ვთხოვლობთ და ვნატრულობთ იმიტომაცა, რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია.“ ილიას სიტყვები დღეს — ოცდამეერთე საუკუნეშიც არ კარგავს აქტუალობას, ქართველი ბავშვი დღესაც „აი ია“-თი იწყებს განათლებას.

იაკობ გოგებაშვილის გენიალურ მიგნებას — „აი ია“-ს, გია მურღულია ცხრა მთავარი მომენტიტ ვიხსნის:

ეს არის ღვთაებრივი ჰარმონიის გამოხატულება, თვით შემეცნება. მას სარკისებური პრინციპიც აქვს — შენ თავს რომ დაგანახებ, ისეთი. ჯერ კიდევ ძველებმა იცოდნენ, რომ საკუთარი თავის შემცნობი სამყაროსაც შემეცნებს. ამიტომაც ეწერა დელფოსის ტაძრის შესასვლელში: „შეიცან თავი შენი“.

არანაკლებ არსებითია სახელის დარქმევა საგნისთვის — აი, ყვავილი, რომელსაც ია ჰქვია. სახელის დარქმევა უკვე საგნის შეცნობას ნიშნავს.

ძალიან მნიშვნელოვანია შემეცნების დაკავშირება ბუნებრივ მშვენიერებასთან, სილამაზესთან. როდესაც, ბუნების გარდა, ბავშვის თვალსანიერშიც ამოდის ია, ეს არის მშვენიერება, ანუ შემეცნების პრინციპად აღებულია ესთეტიზმი.

ეს არის ზიარება ქართული მეტყველების მუსიკასთან — ხმოვნების საოცარ ჰარმონიასთან.

ეს არის გრაფიკული გამოსახულების სრულქმნილება — როგორც „ა“, ისე „ი“ სრულყოფილ სიმრგვალებს — წრეს უკავშირდება და განასახიერებს.

ბიბლიაში ასეთი რამ წერია — ღმერთი არის ანი და ჰოე, ანუ ის არის სამყაროს დასაწყისი და დასასრული. „აი ია“-შიც, ამ პატარა წინადადებაშიც სიმბოლურად მთელი სამყაროს ისტორიაა მოცემული (სახეობრივად — განფენა და უკუფენა), ანუ ხსენებული დასაწყისი და დასასრული. იაკობის შესანიშნავი მიგნება ათწლეულების შემდეგაც ახალი რაკურსით წარმოგვიდგება, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ ეს კაცი იყო დაუშადლებელი გენიოსი და ძალიან ბევრ რამეზე იფიქრა, სანამ შექმნა ეს შედეგრი. „აი ია“ — ეს არის ყველაზე პატარა და იქნებ, ყველაზე ძალმოსილი შედეგრიც ქართული ცნობიერების ისტორიაში.

ლალი ჯეღაძე



„ქალდეური, ანუ წინარქართული ენა“

იესო ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ, ანუ წინარქართულ ენაზე წარმოთქვა

სიტყვა „ისტორია“ ლათინურია და ქართულად ქვეყნის ამბავს ნიშნავს. არაფერი გამოგვივა, თუ ფასვები დაკარგე, თუ არ იცი, რა ჯიშის ხარ. ეს თუ ნაიშალა, არათუ სასჯელმთავოს, ოჯახსაც კი ვერ ააწყობ. სასჯელმთავოს გამართვა ამის გარეშე წარმოუდგენელია, გითურია ყველაფერი.

„თუ საძირკველი დაწვრიულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია...“

ვინ მოიპარა ოთხი ათასწლოვანი ისტორია?

— დიახ, რა თქმა უნდა, ისე „კარგად და ლამაზად“ მოგვეპარეს, მეტი რომ არ შეიძლება. ალბათ, „უნდა მოპარულიყო“ კიდეც. ზურაბ რატიანი ბოლო ამოსუნთქვამდე იბრძვის იმისთვის, რომ ერს თავის მოპარული ისტორია დაუბრუნდეს, რომელიც ჯავახიშვილმა, ჯანაშიამ და ბერძენიშვილმა დაწერეს — სამმა წმინდა მთის წმინდა მამამ. ესენი ერის მნათენი არიან. ეკლესიაში მნათემ სანთელი თუ არ აანთო, ვერ მიიღებ, ვერ დაინახავ მის სიკეთეს. მნათე არის, ვინც უნდა გაგინათოს. ჯავახიშვილმა, ჯანაშიამ და ბერძენიშვილმა „გაგინათეს“ სიმართლე, თუ როგორი იყო ქართველთა წარმოშობა. ბევრისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა. ჩვენნაირი ისტორიის ერი მეორე არაა — არც ძველ ეგვიპტეს, არც ძველ რომს, არც ძველ საბერძნეთს მსგავსი ისტორია არ ჰქონია. რა თქმა უნდა, ეს ისტორია უნდა დამალულიყო, რათა ერს მისი წარმომავლობა არ გაეგო. მოგახსენებთ, რომ სულ ცოტა 4 ათასი წელია მოპარული ქრისტეს მოსვლამდე. ნიშანდობლივია, რომ უდიდესი მეცნიერი,

მკვლევარი რამაზ პატარიძე ნათლად ამბობს: იოანე ზოსიმე მოღვაწეობდა არა იმ პერიოდში, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, არამედ გაცილებით უფრო ადრე. ნუთუ, იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველება, რომელიც ქართულ ენას ოთხი დღის მკვდარ ლაზარეს ადარებს, დამთხვევაა? აქვე განვმარტავ, რომ ეს, ოთხი ათასი წლის მძინარესთან შედარებას ნიშნავს, რადგან თითოეული დღე მეტაფორულად ერთი ათას წელს უდრის. რას ნიშნავს ყოველივე, განა ეს დამთხვევაა?! 4 ათასი მოპარული წელი რადიკალურად სხვაგვარად ალაგებს მსოფლიო კაცობრიობის ისტორიას. ეს ოქროს გასაღებია, რაც ამ ტრიადამ მოგვცა. არსებობს ასეთი დიდებული წიგნი „საქართველოს ისტორია“, ავტორები: ივანე ჯავახიშვილი, სვიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი. გახსოვთ, ალბათ, უფალმა სვიმონს პეტრე დაარქვა. ასე მგონია, ჯანაშია, რომელსაც სვიმონი ერქვა, სწორედ ის პეტრეა. ფრესკებზე პეტრეს ხელში გასაღები აქვს, პავლეს — ხმალი. ეს ის ოქროს გასაღებია, რომელსაც საკეტს მოარგებ, გახსნი ამ კარს და გაოცდები იმით, რაც თვალწინ გადაგეშლება. იმ დროის მეცნიერებაში

ამ წიგნმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ შემდეგ ასეთი წიგნი აღარ დაწერილა. საინტერესოა ისიც, რომ ეს წიგნი ქართულად, რუსულად, თურქულად და ინგლისურად დაიწერა. იგი ყველაფერს თავის ადგილზე ალაგებს. ბერძნები, ასირიელები, ეგვიპტელები ამტკიცებენ, რომ ქართველთა წარმომავლობა ესაა შუმერული, ხეთური, სუბარული, პელაზგური, ლაზური, იბერიული... ინდო-ევროპიელი ბერძნების მიერ იქნა დაპყრობილი ის ტერიტორია, სადაც წინარე-ქართველები - პელაზგები ცხოვრობდნენ და შემდგომ საბერძნეთი დაერქვა. მათ ველური ტომი იპყრობს და მისი კულტურის ბოლომდე მითვისება, მიტაცება ხდება. ასევე მოხდა ინდოევროპიელი რომაელების მიერ იმ ტერიტორიის დაპყრობა, სადაც წინარე ქართველები - ეტრუსკები ცხოვრობდნენ. მას შემდეგ, რომი დაერქვა. მოხდა წინარე ქართველთა კულტურის მითვისება. ეტრუსკებიც იგივე წინარე ქართველი ტომები არიან, მაგრამ რომაელებმა თქვეს, რომ მათი კულტურა მთლიანად ეტრუსკების კულტურიდან გამომდინარეობს. ევროპის ჩრდილოეთით წინარე-ქართველნი ბასკების სახით, იბერიის ნახევარკუნძულზე სახლობდნენ. უცნაური რამ მივიღეთ, არა?! უფრო აქეთ თუ წამოვალთ, საინტერესოა ხეთები. სხვათა შორის, ხეთები და სუბარები წინარე ქართული ტომებია, ხეთებს ეგვიპტის ფარაონთან ბრძოლა აქვთ. ქრისტეს მოსვლამდე 1478 წელია და ხეტუშილ III ხეთების მეფეა. მან ეგვიპტე დაიპყრო და დაპყრობილ ფარაონს ორთვლიანი საომარი ეტლი და ცხენი აჩუქა. ეგვიპტელები წერენ, რომ ცხენი და ეტლი ნანახი არ ჰქონდათ. საინტერესოა ისიც, რომ ასურული (ლურსმული) დამწერლობით ხეტუშილ მეფე იძახდა სიტყვებს, რასაც დღეს ხშირად ვიმეორებთ — ჩემმან მზემ - ვენახი მოვიყვანე, წყლის არხი გავიყვანე და სხვა. თუ სხვები დაპყრობისას წერდნენ — გავანადგურე, გადავწვი, ქართულ ხასიათებში სხვა რამეს ვაწყდებით. ეს მცირე მაგალითებია, რის გამოც ისტორიის ეს ნაწილი დაგვიმალეს. მე და ზურაბ რატიანი შევხვდით განათლების მინისტრს თამარ სანიკიძეს. იგი ახალგაზრდაა და შეიძლება არ სცოდნოდა ამ წიგნის შესახებ, რადგან აკრძალული იყო. ეს წიგნი 1953 წელს აკრძალეს და ქართულ სკოლებში აღარ ისწავლებოდა. ავუხსენით, რომ იგი სკოლებში უნდა დაბრუნდეს, რათა საქართველომ გაიგოს, ვინ ვართ. თუ საძირკველი დანგრეულია, რაც არ უნდა ტრაქტორი, საჭმელი იყიდო, ქვეყანას ვერ ააშენებ. ნაყოფიანებით კაცობრიობის ისტორიაში ქვეყანა არსად აშენებულა. ეს იდეა მინისტრს

მოეწონა და იმედი მაქვს, ერს დაუბრუნდება ის, რაც მოპარეს. აქ თვალნათლივ ჩანს ქართველების წარმომავლობა, საიდან მოდიან, რამხელა ისტორია აქვთ. აქ საუბარია ქრისტეს მოსვლამდე 4 ათას წელზე, თორემ ეს რომ კარგად დააღაგო, 7-8 ათასი წელი გამოდის.

რა ენაზე წარმოსთქვა ჯვარზე გაკრულმა იესომ უკანასკნელი სიტყვები?

ქალდეელები ის ხალხია, ვინც ღვინო და პური მოიყვანა. სხვათა შორის, პურს ძველბერძნულად პურეი ჰქვია. გადის 7-8 ათასი წელი, მოდის იესო და ამბობს: პური ხორცია და ღვინო სისხლია ჩემიო. ამას საკრალური, ეზოთერული დატვირთვა აქვს. უფალი ამბობს, ქართველი კაცის მიერ მოყვანილი პური და ღვინო სისხლი და ხორცია ჩემიო, გესმით, რას ვამბობ? ამას დამალავდნენ, აბა, რას იზამდნენ?!

ბერძნებს ლევან სანიკიძე ისტორიაპარვეებს ეძახდა. ბერძნები მითოლოგიის დიდოსტატები არიან. პრომეთე, რომელმაც ზევსს ცეცხლი მოპარა, წამოიყვანეს და იალბუზზე მიაჯაჭვეს. კი, მაგრამ, მათ მთა არ ჰქონდათ, ბატონო, აქეთ რომ არ წამოეყვანათ? ეს რატომ, იცით? — ამირანია აქედან წაღებული. კარგად ვიცით, ქრისტეს მოსვლამდე 1300 წელს იასონი რომ შემობრძანდა, პირველად ნახეს შადრევანი ღვინისა, წყლისა და რძისა. მათ საოცარი კულტურა, შეუსწავლელი კოლხური ცივილიზაცია პირველად ნახეს. ენის თაობაზეც ცნობილი არაფერია.

უფალს ეროვნება არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია ერთი გარემოება: როდესაც უფალი ჯვარს გააკრეს, მან ბოლო სიტყვით მამას მიმართა: - ელი, ელი, ლამა საბექთანო. სულხან-საბას თუ ჩავხედავთ, ამბობს: ელოი, ელოი. ზოგიერთმა ჩვენმა მეზობელმა, რადგან ქრისტემ ელი თქვა, ჩათვალა, იესო სომეხი იყო. საქმე ისაა, რომ ეს არც სომხურ და არც ებრაულ ენაზე ნათქვამი არაა. მაშინ გამოდის, რომ მის ებრაულ წარმომავლობას ეს ფაქტი ნაცარს აყრის. არადა, ეს ნამდვილად არაა ებრაული ენა. მაშ რა არის? - ადამიანი, ფსიქოლოგიურად, ბოლო ამოსუნთქვისას მის ენაზე, დედა ენაზე საუბრობს. ეს ქალდეური ენაა. ხშირად საუბარია არამეულ ენაზე. ამ ენას ვაჭრები, ხელოსნები იყენებდნენ და ძალიან ცდილობენ, ებრაელობასთან ახლოს იყოს. მაგრამ ნურას უკაცრავად, არ გამოდის ასე და გეტყვით, თუ რატომ; ძველ აღთქმაში დანიელ წინასწარმეტყველთან, ნაბუქოდონოსორთან შეხვედრისას ვკითხულობთ: ქალდეელებმა არამეულ ენაზე უპასუხესო. ნეტარი ერონიმე

სტრადონელი, რომელიც 380 წელს ქრისტეს შემდეგ მოღვაწეობდა, ამბობს: საფუძვლიანად შევისწავლე ებრაული და ქალდეური ენებიო. ესე იგი ყოფილა განსხვავება?! ამას მე, პეტრე ხომ არ ვიგონებ? კიდევ ერთ რამეს დაუფუკვირდეთ. იოანე პეტრიწის მასწავლებლები - იტალოსი და დიადოხოსი იყვნენ. „თეოლოგიის მთავარსაფუძვლების“ ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ - ქალდეური, ელინური და ებრაელური ცივილიზაციების სიბრძნეთა საფუძვლებზე აღმოცენდა ახალი ქრისტიანული აზროვნებაო. ანუ ქალდეური, ელინური და ებრაული სხვადასხვა ყოფილა, ხომ?

ქართველებმა ჩვენი უდიდესი კულტურა ვერ გავაცანით მსოფლიოს, „ფრომოუშენი“ არ გვივარგა, რაც სომხებს 5-იანზე აქვთ. დამა უორდროპები რომ არა, მე-19 საუკუნემდე მსოფლიო კაცობრიობამ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ არა იცოდა.

ღვთისმშობელი ქართველი იყო?

— დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისაში“ მარიამ ღვთისმშობელს ქართველად მოიხსენიებს, მაგრამ იმავე კუპლეტში წერია - შენ, სიკეთეო ეგვიპტისაო. წესით, ხომ უნდა თქვას ისრაელისაო. რატომ არ ამბობს? — ამას ახლავე აგისხნით - მსოფლიო კაცობრიობის ისტორიის მამად ნოდებული ჰეროდოტე გვეუბნება — მთელი ეგვიპტის კულტურა კოლხეთის კულტურის გაგრძელებააო. კოლხებმა უფრო მეტი იციან ეგვიპტელებზე, ვიდრე ეგვიპტელებმა კოლხებზე. ჰეროდოტეს თუ დაუფუკვირებთ, მაშინ მსოფლიო ისტორია რადიკალურად იცვლება. ამ დროს ისტორიის მამას ჰეროდოტეს არ უჯერებენ და იგი „ბიცოლად“ გამოჰყავთ. ზუსტად ეს მინიშნება აქვს დავით აღმაშენებელს, როცა მარიამ ღვთისმშობელს ეუბნება — შენ სიკეთეო ეგვიპტისაო. პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ მისი წარმომავლობა პროტო-(წინარე) ქართულია. უფალმა ელოი, ელოი მის ენაზე, დედა ენაზე თქვა.

სომხური წყაროებიდან ვგებულობთ: ქალდეველების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია, ის ქართველი ხალხის ერთი ნაწილია. სომხები მოწმობენ, რომ ქალდეველი იგივე ჭანია, რომელმაც თურქეთში თავი დღემდე შემოინახა. ახლა გეტყვით, რას ნიშნავს ლამა სულხან-საბას მიხედვით — ვლამობ, ვაპირებ. ანუ ქრისტეს ნათქვამი ნიშნავს — მამა, რატომ მიმატოვე, რატომ აპირებ ჩემს დატოვებასო. სწორედ ამ სიტყვას ვაწყდებით სვანეთში, მე-19 საუკუნეში ერთ-ერთ დღესასწაულზე — მურყვამეობაზე (ეს კერპთაყვანისმცემლობიდანაა შემორჩენილი), სადაც სვანები თავიანთთვის გაუგებარ ენაზე

ქალდეურ სიტყვებს ამბობენ. კერძოდ, ელი ტელიფია (ხეთების ნაყოფიერების ღმერთი) იოხ, იოხ, ანუ ღმერთს ეხვეწებიან, მეოხ გვყავიო. გარდა ამისა, სვანეთში არის სოფელი ქალდეა, ციხე — ქალდეა, გვარი — ქალდანი. მთელი თურქეთის ტერიტორიაზე თავიდან ბოლომდე სახლობენ: ზანები, ჭანები, ლაზები.

რომელი ერი გადარჩება მეორედ მოსვლისას?

ძველ აღთქმაში დანიელ წინასწარმეტყველს ვაწყდებით, რომელიც ქალდეველია. ნაბუქოდონოსორის დროს ძალიან საინტერესო რამ ხდება: კედელზე გამოისახება წარწერა, მარჯვენა მტევანი წერს და მერე ქრება. ეს საოცარი ამბავია: მეფე პანიკაში ჩავარდა. წარწერა ვერავინ წაიკითხა. იქ იყვნენ ებრაელებიც, ასურელებიც. ერთადერთი ამის წაკითხვა ქალდეველმა შეძლო, იქ ეწერა — „შენი მეფობა მალე დამთავრდებაო“. მართლაც, იმავე ღამეს მეფე ქალდეველებმა მოკლეს. უფრო წინ თუ გადავინაცვლებთ, ნაბუქოდონოსორი ეუბნება თავის ხალხს, ქალდეველთა სწავლებანი, მეცნიერებანი, ენაუნდა შევისწავლოთ, ეს სხვანაირი ხალხიაო. სხვათა შორის, აქვე ვიტყვი, იესოს დაბადება მოგვებმა, ოღონდ ქალდეველმა მოგვებმა იწინასწარმეტყველეს. მათ იესოს შესახებ იცოდნენ. დანიელ წინასწარმეტყველი მესამე თავში ამბობს: მაშინ მანევარმა ომახიანად დაიძახა: ხალხნო, ტომენო და ენანო, თქვენ კერპთაყვანისმცემლობის პატივისცემა გებრძანათ, ამ დროს იყო, რომ მოდგა ზოგიერთი ქალდეველი და იუდეველებს დაუწყეს ბრალის დადება. გამოდის, რომ იუდეველი და ქალდეველი სხვადასხვაა.

კიდევ ერთი საინტერესო რამ მინდა გითხრათ: დანიელ წინასწარმეტყველს გამოეცხადა ღმერთი და უთხრა: მეორედ მოსვლისას შენი ხალხი გადარჩებაო. იოანე ზოსიმე კი გვეუბნება, რომ მხოლოდ ამ ენით გაცხადდება მეორედ მოსვლა, მოსვლა ძე ღვთისაო. გვატყუებს ვითომ იოანე ზოსიმე? აქვე კიდევ ერთი ნიშანდობლივი რამ იკვეთება. ეს ამბავი სინას მთაზე მოხდა. სწორედ იქ, სადაც მოსეს უფლის მიერ 10 მცნება მიეცა. დარწმუნებული ვარ, იოანე ზოსიმესთვის იმის თქმა, რომ ქართულ ენაზე გაცხადდება მეორედ მოსვლა, ესეც უცილობლად უფლის ნათქვამია და არა ზოსიმეს მოგონილი. აქვე ერთ რამესაც გეტყვით — სინას მთიდან საგალობელის ჩამოტანით ქართველმა ერმა და მისმა მისიამ ერთმანეთი იპოვეს. ქრისტიანობის მსოფლიო ბედისწერაში ქართულ ენას ერის მისია ჰქვია.

რა ენერა ფესტოს დისკოზე?

ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს დამახასიათებელ შემდეგ განსაზღვრებას ვხვდებით; ახალი ნინო — ამბობს იოანე ზოსიმე, რაც უშვებს ძველი ნინოს არსებობას. რას ნიშნავს ეს? — აკადემიურ მეცნიერებაში სიტყვა ნინოს ფუძე ნინ — ფონეტიკური სახესხვაობაა ნენ და ნან-ის. ქრისტეს მოსვლემდე ბერძნები კოლხეთში შემოდიან და საოცარ ძეგლს ხედავენ — ქალი ზის, ფერხთით ლომებია გართხმული, ხელთ კემბალი უჭირავს. ბერძნები ზევსის დედას მიაშვავებენ. ეს ღვთისმშობელი იყო. რა თქმა უნდა, მარიამი არ ჰყავდათ მხედველობაში იმიტომ, რომ ამ დროს ჯერ არ არსებობდა. სიტყვა ღვთისმშობელი მარიამამდე ადრინდელია. აქვე ერთ საინტერესო ამბავს მოგახსენებთ. საბერძნეთში ფესტოს სასახლეში 1800 წელს დისკო აღმოაჩინეს, რომლის წაკითხვა ვერავინ მოახერხა. ეს მოახერხა ერთმა ქართველმა მათემატიკოსმა მეცნიერმა კვაშილავამ. ეს იყო არა ლურსმული, არამედ იეროგლიფური დამწერლობა. შეამოწმეს დისკოს წარმომავლობა და იგი 2000 წლის აღმოჩნდა ქრისტეს მოსვლამდე. ამ დისკოზე ნენ-ნანას საგალობელი ეწერა, ანუ ახალი ნინო ძველი ნინოს მოსახლეა.

საინტერესო ამბავს ვაწყდებით გილგამეშიანშიც. ეს 1500 წლით ადრეა დაწერილი, ვიდრე ძველი ალტქმა. ესაა შუმერულ, ხეთურ, არქაულ და ხურიტულ ენებზე დაწერილი. აქ საოცარ ამბავს ვაწყდებით — დედა-ღმერთს-ღვთისმშობელს ერქვა (ნინ)-ხასარგ, მეორეს — (ნინ)-ტუმ, მესამეს — ინ-(ნანა). ეს დამთხვევებია? მინდა გითხრათ, რომ ღვთისმშობლის მიძინება დღევანდელი თურქეთის, ყოფილი კოლხეთის ტერიტორიაზე, გნებავთ, შემდგომ ტრაპზონის იმპერიის, იზმირიდან დაახლოებით ერთი საათის სავალზე მოხდა. ბევრმა არ იცის, რომ ეს ისრაელში არ მომხდარა. ესეც ერთგვარი მინიშნებაა. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, რომ ეს ტერიტორია წინარე ქართულია, მერე მოდიან ძველბერძნები, ინდო-ევროპელები. ჩვენ ქართველები იაფეთური მოდგმის ვართ. ახლა რომ საუბრობენ ევროპისკენ სვლაზე, ეს ხომ სასაცილოა — თავად ჩვენ არ ვიცით, ვინ ვართ. ქართველებს თვითმმართველობა მე-11 საუკუნეში ჰქონდათ, მსოფლიოში ამას მხოლოდ 50 წლის სტაჟი აქვს.

დადგენილია, რომ ქართული ენის აგებულებას არაფერი აქვს საერთო არც ინდო-ევროპულ, არც სემიტურ, არც ურალურ-ალტაურ, კერძოდ, თურქულ ენებთან და რომ ის ხეთურ-იბერიულ ენების და, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის აგებულებას ემთხვევა (ჯავახიშვილი, ჯანაშია,

ბერძენიშვილი). აღმოჩნდა, რომ ქალდეურის ნივთიერი და სულიერი კულტურა შუმერული, ხეთური, სუბარული ცივილიზაციის ორგანული ნაწილია. დასახლება ძველი ბერძნული წყაროებიდანაა ცნობილი. დიალექტური ფორმის სახით. ბევრი ქვეყნის შვილი ვერ წარმოთქვამს ქ-ს და ხალდეას ხმარობს. ქალდეას და ქალდას ორივე სახელწოდებას ერთნაირი ფუძე აქვს, დაბოლოებებით განსხვავდებიან, თუმცა ორივეს დაბოლოება წმინდა ქართულია. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე და ჭოროხის სათავეში მცხოვრები ქალდების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია. ისინი ქართველი ხალხის ერთ ნაწილს შეადგენდა. რიგი სომხური წყაროები მოწმობენ, რომ ქალდეელები იგივე ჭანებია, რომელთაც დღემდე შემოინახეს თავი თურქეთში შევიწროების მიუხედავად.

ებრაელი ღმერთი — იაჰვე თავის ხალხს ქალდეურად ლოცვისკენ მოუწოდებდა(!)

ახლა ყველაზე მთავარს გეტყვით, საიდანაც უკვე ძალიან დიდ ამბავს ვაწყდებით. ეს რომ წავიკითხე, გავოგნდი. თალმუდში წერია — თუ ებრაელს სურს, რამე სთხოვოს ღმერთს, ანგელოზებისგან საიდუმლოდ, ქალდეურად უნდა ილოცოსო. ამას ამბობს იაჰვე — ღმერთი ებრაელთა, რადგან მარტო მან იცის ეს ენა. ანუ იაჰვე ეუბნება ებრაელებს, ქალდეურად ილოცეთო. ეს უპირატესობაა, რომელიც ქალდეელებსა და ქალდეურ ენას ენიჭება. თალმუდში ბოროტის შექმნა და გაყოფა სულად, ფორმად და სხეულად თავიდან ბოლომდე ძველ ქალდეელებისგანაა ნასესხები. რა ვქნათ, არ ვთქვათ ეს? მიუხედავად იმისა, რომ შოთა გვეუბნება — არ შეამოკლოთ ქართული, არა ჰქმნათ სიტყვამცირობა, ანუ გვეუბნება, თქვენი ენა არ დაამციროთო. კარგად მოგესხსენებათ, დღეს რაც დავმართეთ ჩვენს ენას.

სხვები ამბობენ ჩვენზე — ვინ ვართ და საიდან მოვდივართ. ჩვენ არ ვამბობთ. დიდი მეცნიერი ფრიდრიხ ძებში გვეუბნება, ღმერთების ენა იბერიული ენაა და იგი ქართულ ენაშია შემონახულიო. ყველა გვატყუებს ამ ენასთან დაკავშირებით? სხვათა შორის, შვეიცარიის უნივერსიტეტმა ტუტანჰამონის მუშია შეამოწმა და მისი დეენემი ქართულ-კოლხურ-კავკასიურს დაემთხვა. რაშია საქმე? — ამას ხომ ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტეც გვეუბნება — ეგვიპტის კულტურის წარმომავლობა კოლხურიაო. თუ ჰეროდოტეს ამაზე დავეთანხმებით....

მწერალი პეტრა ქოჩაკიძე-ჭალაღიძელი



შ ი რ ჯ ი ა ნ ს შ ა ბ ი რ ე ზ

ქართველი სიმბოლისტი მწერალი, ტიცუან ტაბიძე დაიბადა 1895 წელს, 2 აპრილს დასავლეთ საქართველოში, სოფელ შუამთაში-ორპირის მახლობლად. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1913 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. პირველი ლექსები დაიბეჭდა XX ს-ის 10-იანი წლების მიჯნაზე. იყო ერთ-ერთი დამაარსებელი, ხელმძღვანელი და თეორეტიკოსი „ცისფერყანწელთა“ სიმბოლისტური ორდენისა, ავტორი ცნობილი წერილისა - „ცისფერი ყანწებით“.



ტიცუან ტაბიძე 1937 წელს ანტისაბჭოთა მოღვაწეობის აბსურდული ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს.

განსხვავებული ვერსიის თანახმად, გადასახლებაამისჯილი პოეტი ციმბირის ტრამალზე ჩამოსვეს და თოვლიან ქარბუქში მიატოვეს.

მე დაუბადე აპრილის თვეში

მე არ ვწერ ლექსებს- ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწვერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარნავს.
მე დაუბადე აპრილის თვეში,
ვამლების გამლილ ყვავილებიდან,
მაწვიმს სითეთრე და წვიმის თქეში
მოდის ცრემლებად ჩემს თვალებიდან.
აქედან ვიცი, მე რომ მოვკვდები,
ამ ლექსს რომ ვამბობ, ესეც დარჩება,
ერთ ჰოეტს მაინც გულზე მოხვდება
და ეს ეყოფა გამოსარჩლებად.

იტყვიან ასე: იყო საწყალი,
ორპირის ფშანზე გაზრდილი ბიჭი.
ლექსები იყო მისი საგზალი,
არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი.
და აწვალედა მას სიკვდილამდე
ქართული მზე და ქართული მიწა,
ბედნიერებას მას უმაღლადენ,
ბედნიერება მან ლექსებს მისცა.
მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწვერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარნავს.

აპრილი, 1927 წ.

„სამეგრელო“ № 4

იმას შვილად ვერ მივიღებ,
წინაპრების აკვანს სწავდას,
სირცხვილი იმ გუთნისდას,
თავის მამის საფლავს ხნავდას.
იეთიმ გურჯი

ვისი გონისა ხარ

... შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღელის ნევა. შვილს უნდა გამოეკვეთა კომუნა, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად და რა კეთილი - ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მსნეოზდა და რისთვის და რაში უძმოზდა. უამისოდ თვითონ შვილი, რაც ბინდა მსნე და გამრჯელი იყოს, უსორთუმო სვილმს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას ბახდება.

ილია ჭავჭავაძე

ჩვენი სიმბოლოა ყველაზე დიდი ჭადარი საქართველოში, რომელიც დგას ქალაქ თელავის ცენტრში, მის ისტორიულ უბანში „ბატონის ციხე“-სა და „ბატონის წყარო“-ს მიდამოებში, კერძოდ, საქართველოს სახელგანთქმული მეფის, ერეკლე II-ს მონუმენტის წინ. ეს ხე კარგადაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში თავისი ხანდაზმულობითა და სიდიდით, ანუ შეიძლება ითქვას, სიდიდით,



800 წლოვანი ჭადარი ქ. თელავში

რომელიც დაახლოებით 800 წლისაა, სიმაღლით არის 40 მეტრი და მისი გარშემოწერილობა 12 მეტრს აღწევს. ცნობილია, რომ ამ ჭადარს სანახავად სწვევიან დიდი ქართველი მწერლები: ილია, აკაკი, ვაჟა და სხვა გამოჩენილი ქართველი თუ უცხოელი მოღვაწეები. როგორც ადრე, ეს ხე დღესაც მრავალ მნახველს იზიდავს და ხიბლავს თავისი სიდიდითა და სილამაზით.

შემთხვევით არაა, რომ გენეოლოგიის სიმბოლიკად სწორედ ეს 800 წლოვანი ჭადარია ქცეული, აღნიშნული იდეის ავტორი კი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რეზო ხუციშვილი გახლავთ.

აფხაზავა

გვარი მომდინარეობს ეთნონიმისგან აფხაზი, რაც გვარის დამაარსებლის, ან სულაც ოფიციალური სახელი იყო.

1621 წლის საეკლესიო დავთარში დასახელებულია საქუჩულორიოს მცხოვრები აფხაზავა, რომელსაც მართებს საკათალიკოსო გადასახადი.

ხოლო 1616—21 წლებში შედგენილ საეკლესიო დოკუმენტში დარჩელის მცხოვრებთა შორის, რომელთაც მართებთ ცაიშის საყდრის ბეგარა.

საქართველოში 1683 სული აფხაზავა ცხოვრობს.

მოლაშხია

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სამი ძმა მოლაშხია ნალენჯიხის რაიონში, ნაკიფუს უბანში დასახლებულა. ნალენჯიხელ დადიანებს ეს ამბავი არ მოსწონებიათ და მათ შორის ბევრჯერ მომხდარა უსიამოვნება. უტუ მიქავას ჯარის დამარცხების შემდეგ 1872 წელს ლენურნუმეს საზღვარზე კაზაკთა ტყვიებით სამი ძმა მოლაშხია დაცემულა.

ილია მაისურაძე წერს: სვანურად „მოსგლაშხ“ ლაშხელს ნიშნავს. ეს სოფელია მესტიის რაიონში.

საქართველოში 858 მოლაშხია ცხოვრობს. ნალენჯიხაში — 242, ზუგდიდში — 248, თბილისში — 59. არიან სხვაგანაც...

პაჭკორია

მეგრულად ის მღვდლის ყმას ნიშნავს.

ნაპაჭკორუ არის სახნავი მდინარე აბაშის მარცხენა ნაპირას.

1733 წელს შედგენილ ერთ-ერთი საბუთში გვხვდება გვარი პაჭკორია. საარქივო მასალებით ირკვევა, რომ პაჭკორიებს ზანთაში უცხოვრიათ მეჩვიდმეტე საუკუნეში, ხოლო შემდეგ გადასულან სანთულისკიროში.

საქართველოში 1373 პაჭკორია ცხოვრობს:

ზუგდიდში—526, სენაკი—121, ფოთში—164, საქართველოში არსებულ 25 000-ზე მეტ გვარში პაჭკორიას 736-ე ადგილი უჭირავს.

ჯღარკავა

საქართველოში გავრცელებულ 1000 გვარს შორის 355-ე ადგილზეა, გვარის ყველაზე ძირძველი სამკვიდროა ნაგვაზავო.

ზმნური ფუძე „ჯღარკ“ მეგრულში აღნიშნავს ულაზათოდ გაკეთებულს, „ჯღარკე“ გურულში „შერქმეულ გვარს“, ანუ გვარის განაყოფის კოლექტიურ მეტსახელს აღნიშნავს.

საქართველოში 2 748 ჯღარკავა ცხოვრობს.

მარტვილში—815, ზუგდიდში—539. თბილისში—507, არიან სხვაგანაც...

ქარდავა

სულთა რაოდენობით საქართველოში 55-ე, სამეგრელოში — 8-ე ადგილზეა.

ქარდავების ძირძველი და თავდაპირველი საცხოვრებელი ყოფილა ქალაქი ჯვარი. მათი გვარის კაცები სვანეთში არიან — ქალდანი, საქარდო, საქარდა, უბანი ლეშამუგეში.

იშვიათი საპასპორტო ვარიანტია ქართავა. ამოსავალი ფუძე „ქარდა“ სვანეთში.

დადასტურებული პირსახელების — ქარდაყანის, ქართახანის შემოკლებული ფორმა ჩანს.

ჩილაჩავა

ნაჩიჩაო, ნაჩიჩაუ უბანი სოფლის ცენტრში (ლევახანე)

გურძემიდან, სადაც არის ნაჩიჩაო, გამოქცეულია სამი ძმა, რომელთაც იქ მღვდელი მოუკლავთ. ერთი ნოსირში დასახლებულა, მეორე ზუგდიდში, მესამე კი ოჩამჩირეში.

1973 წლის საბუთი გვამცნობს, რომ ჩილაჩავა, სანულისქიროს მცხოვრები, შეუწირავთ ბიჭვინთისათვის „მისის ყოვლისფერიანად“.

ზუგდიდი — 204, სენაკი — 126, თბილისი — 87 სული.

ჟორდანია

ნაჟორდანუ — მინდორი თავკვეშის ნაპირას მარტვილშია. 1733 წელს შედგენილ საბუთში დასახლებული არიან ნორენისუბანს მოსახლე ხუცესი ჟორდანია და მისი ძმა ოთია. გარკვეულია, რომ ჟორდანია მიღებულია მამაკაცის სახელ იორდანესგან თავკიდური ხმოვნის იოტიზაციისა და შემდგომში პალატალიზაციის გზით.

პირსახელი ჟორდან გვხვდება სვანეთში. 1904 წელს ცაიშში ესახლა 3 კომლი აზნაური ჟორდანია.

არსებობს მოსაზრება, რომ გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ჟორდანი, რომელიც ევროპაში იყო გავრცელებული. საქართველოში კი უცხოეთიდან შემოდიოდა საკუთარი სახელები, ვრცელდებოდა და მერე მათგან გვარებიც წარმოიქმნა.

ხელვაჩაურის რაიონში, სოფელ ზემო ჯოჯოში გვხვდება გვარი ჟორდანიძე, ხოლო ქობულეთის რაიონში, ჩაქვი და გვარაში დასახლებულმა ჟორდანიძეებმა გვარი შეიცვალეს და ჟორდანიად ჩაენერნენ.

აჭარაში, ჟორდანიებს ჰქონდათ მეორე გვარი გოჩაძე. როგორც ირკვევა, გვარის შეცვლა ნოე ჟორდანიას ევროპაში გადახვევის შემდეგ, შიშის ფაქტორმა განაპირობა.

ასე რომ, ჟორდანიძე, ჟორდანია და გოჩაძე ერთი და იგივე გვარია.

ფარულავა

1733 წლის საბუთში დასახლებულია ეკში მცხოვრები ობიშხაი ფარულავა.

კოლხეთში გავრცელებულია პირსახელი ფარუ, ფარულა კი მისი ვარიანტია.

1904 წლის აღწერის თანხმად, სარაქონში, ნახუნავოსა და თამაკონში მცხოვრები ფარულავები აზნაურები იყვნენ.

სული: 2073. ზუგდიდი — 504, თბილისი — 398, მარტვილი — 219.



სრულიად საქართველოს მეცნობს

ახალკახათში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალკახათის ადმინისტრაციულ ერთეულში ორ სართულიანი საბავშვო ბაღის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე ხორციელდება მიწის ზედა სამუშაოები, რაც მოიცავს ზეძირკვლის ჰიდროზოლაციის მოწყობას.

მზადდება იატაკისთვის საძირკვლის მოსამზადებელი სამუშაოები. ახალკახათის საბავშვო ბაღი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სააღმზრდელო დაწესებულება იქნება და მისი მშენებლობა მაისის თვეში დასრულდება.

პროექტი საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან 188 ათასი ლარით დაფინანსდა.




პროექტის „ანარმოე საქართველოში“ პრეზენტაცია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ, დღეს მიკრო და მცირე მენარმეებს სახელმწიფო პროექტი „ანარმოე საქართველოში“ პრეზენტაცია წარუდგინა. მუნიციპალიტეტის გამგებელმა მენარმეებს პროექტებში მასსიმალური ჩართვა ურჩია.

გამგებლის განცხადებით, ხელისუფლება დაინტერესებულია ამ პროექტის ამოქმედებით ხელი შეუწყოს და განავითაროს მცირე მენარმეობა. მოხდეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ახალი ინიციატივების განხორციელება, რაც ჩვენს მოსახლეობასა და ქვეყანას





ეკონომიკურ კეთილდღეობას მოუტანს. პროექტის მიზნობრიობაზე და აუცილებლობაზე მენარმეებს მენარმეობის განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი ოთარ ანთია ესაუბრა. მისივე განცხადებით, 2016 წელს სახელმწიფომ მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის ბიუჯეტში 20 მილიონი ლარი გაითვალისწინა. პროექტები მხოლოდ საქართველოს რეგიონებში ხორციელდება. პროგრამის მიზანი მსხვილ ქალაქებსა და რეგიონებს შორის ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება, ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდა და

რეგიონალური პროდუქციის დივერსიფიკაციაა. გამარჯვებული კონკრეტული ბიზნეს-იდეა ერთი ინდივიდისთვის 5000 ლარით ფინანსდება. თანამონაწილეობა კი მხოლოდ 20%-ია. ამხანაგობის შემთხვევაში თანხები იზრდება. პროგრამის ფარგლებში დაინტერესებულ მენარმეს, სააგენტო ბიზნეს კონსულტაციას გაუწევს. პრეზენტაციას სამეგრელოს რეგიონში მოქმედი მცირე მეწარმეები და სამეგრელო - ზემო-სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სოფლის მოსახლეობა სოფლის კახაბუზე პრიორიტეტულს ასახელებს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის კრებებზე მოსახლეობა იკრიბება და სოფელში განსახორციელებელ პრობლემებზე მსჯელობს. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები ჩატარდა ანაკლიის, განმუხურის, ერგეტის, ცვანეს, ახალკახათისა და კახათის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

საბავშვო ბაღის შენობის გაფართოება და ბაღისთვის ეზოს კეთილმოწყობა მოითხოვა. განმუხურის მოსახლეობა მიმდინარე წელს სოფლის ცენტრის კეთილმოწყობას, სანიაღვრე არხებისა და შიდა გზების რეაბილიტაციას ითხოვს.

ადგილობრივებმა მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებთან, სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებთან და სოფლის დეპუტატებთან დაგვეგმეს და შეარჩიეს 2016 წელს ადმინისტრაციულ ერთეულებში შესასრულებელი პროექტები.

ადმინისტრაციული ერთეულებისთვის კვლავ გადაუდებელ აუცილებლობად რჩება შიდა საუბნო გზების მოხრეშვა.

ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე წლის პრიორიტეტად დასახელდა: მოსაცდელის და საბავშვო ბაღში მოსასვენებელი პარკის მშენებლობა. სანიაღვრე არხების მოწყობა. მოსახლეობამ





ერგეტის ადმინისტრაციულ ერთეულში 2016 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, ადმინისტრაციული შენობის ინტერიერისა და დიზაინის შეცვლა მოხდება. შენობაში უნდა განთავსდეს ბანკი, ამბულატორია და შემოქმედებითი წრეები მოსახლეებისთვის. უნდა მოხდეს სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა, საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია. მოსახლეობის განცხადებით, სოფელში არის წყლის პრობლემა, რის მოგვარებასაც უკვე არსებული ჭაბურღილიდან ავზის მონტაჟსა და მოსახლეობის დაქსელვას ითხოვენ.

სოფელ ცვანეშიც მოხდება ცენტრის კეთილმოწყობა, სანიაღვრე არხების მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

ახალკახათის ადმინისტრაციულ ერთეულში მოიხრეშება შიდა საუბნო გზები, მოხდება ფოთის ქუჩაზე არსებული ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია და შინმოუსვლელთა მემორიალის მშენებლობის მეორე ეტაპი დაიწყება. ახალკახათის მაჟორიტარი დეპუტატის ლაშა ქობალიას განცხადებით, სოფელ

ახალკახათში საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტი მისი მასშტაბურობითა და განხორციელებით, აღემატება უკანასკნელი 20 წლის მანძილზე განხორციელებულ საქმიანობას. ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივების მიერ შერჩეული პრიორიტეტები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფლისთვის გამოყოფილი თანხობრივი რესურსის ფარგლებში განხორციელდება.



**21 მარტს შურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით
 შურნალისტთა კავშირში გაიშვება ფურცელი.
 სადაც საუბარი იყო ძველანაში განვითარებულ
 პრობლემებზე. რაც უზუალყო შურნალისტიკას
 უკავშირდება. დასახეს მიზნები. მთავრობის
 მისაგარტით გააკეთეს გარკვეული გზავნილები
 და ბოლოს. დღის წესრიგში დადგა საესინალურად
 შერჩეული შიურის მიერ ნარდგენილი ნარგებებული
 და დგანდომოსილი შურნალისტიკის დაჯილდოება.
 დამსახურებული შურნალისტიკის წოდება მიენიჭა
 ქოქენბატორს. ჯამღებ ხუხაშვილს. შურნალისტს
 ნინო რახვიაშვილს და სხვა დგანდომოსილ ადამიანებს.
 გაიცა სხვადასხვა სხის პრემიები.
 თითოეულ მათგანს ვულცავთ ნარგებებს და
 ვუსურვებთ პროფესიულ წინსვლას და ოჯახურ
 ბედნიერებას.**

**საქართველოს
 შურნალისტთა
 შიშოვამდობითი
 კავშირი**

ქართული შურნალისტიკის განვითარებაში
 შეტანილი წვლილისა და ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის

ნინო რახვიაშვილს

ენიჭება საქართველოს დამსახურებული
 შურნალისტის წოდება



თავმჯდომებელი
 პამლუბ დგობა

თბილისი, 21.3.2016 წ.



ნინო რახვიაშვილი:
 მიწდა დიდი მადლოება მოვუხადო
 შურნალისტთა კავშირის თავმჯდომებარეს,
 ბატონ პამლუბ გეგინას და შიურის
 თითოეულ წევრს. მათ, ვინც გადანწყვიტა,
 რომ ჩემთვის მიენიჭებინათ ესოღან
 დიდი წოდება. წოდება საქართველოს
 დამსახურებული შურნალისტისა.

ნინო ხუხუიაშვილის გამომცემლობა



ნიგნების ბეჭდვა

მისამართი:
თბილისი,
ლესელიძის 27
მე-2 სართ.
599746810
790746810

**ქურნალ-
ბაჭათების
ბეჭდვა**

**ანყობა,
დიზაინი,
დაკაბადონება**